1873

# ცისკარი

მარტი და აპრილი

წელიწადი მეჩვიდმეტე

წოდება თხზულებათა:

I.— რედაქტორისაგან განცხადება.
II.— შესახებ «კავკასიის არხეოლოგიის მოსიყვარულე საზოგადოებისა» რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში. — — — — — დ. ბაქრაძისა.
III.— ლექსი. კონსტანტინე ბერძენოვი-კობალაძისა.
IV.— კატაკომბი (მოთხრობა) ი. კერესელიძისა.
V.— — — ლექსი კ. ბერძენოვი-კობალაძისა.
VI.— ჩემს შვილს გ... (ლექსი.) — — ი. კ.
VII.— სპარსეთში შიმშილი. კონსტანტინე ბერძენოვი-კობალაძისა.

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

თბილისი

# რედაქციისაგან.

მკითხველები ჩვენის «ცისკრისა» რასაკვირველია როგორც ვიცით გვემდურებიან, რადგანც ამ ჟურნალების გამოცემამ შეიგვიანა რამდენსამე თვესა, მაგრამ თუ მოისმენენ მიზეზს, იმედი გვაქვს არ გაგვამტყუნებენ: ჩვენი ტიპოგრაფია სამის წლით მიცემული გვქონდა ერთ პირზედ, რომლისაგანაც რა ეს ვადა შეუსრულდა, უკანვე დავიბრუნევით, ყოველი კუთვნილება ამ სტანბისა, გარდა ასოებისა, ასე რომ ჩვენ დაგვჭირდებოდა ხელ-ახლად გამართვა და ახალის ასოების ჩამოსხმა, რომელსაცა დრო უნდოდა, მაშასადამე ჟურნალის გამოცემის შემდგომა აუცილებელი იყო. ახლა რა მოვმართეთ სრულებით, გამოვეცით იმ იმედით რომ სულგრძელებით მოუტევებენ რედაქციას, კელის მომწერნი, ამასკი ვაღვიარებთ, დღეითგან ყოვლის ღონის-ძიებით ვეცდებით ამ ნამსახურის ჟურნალის განმშვენიერებასა, თავის დროზედ გამოცემასა და მკითხველების სასარგებლო აზრებით გონების გართობასა, მხოლოდ ვიდრე გავასწორებდეთ, დრომდის ორი ნომერი ერთ ნომრად გამოვა. ახლა ვბეჭდავთ

# ცისკარი.

ამ ნომრითგან ერთს იმგჳარს ანგლიურს ენაზედ შეთხზულს და ნათარგმნს მოთხრობასა, რომელიცა ქართჳჱლებს იმედი გვაქჳს დიდად მოეწონებათ. ეს მოთხრობა გათავდება რამდენსამე ნომერში.—ბოლოს კიდევ საჭიროთ ვრაცხთ, ვაცნობოთ მკითხჳჱლთ, რომ რამდენთამე შესანიშნავ პირთ აღგვითქჳჱს დახმარება მწერლობით, ამ ნომრითგანვე სცნობენ იმათაგან ერთს, რომელიცა ქართჳჱლთაგან შენიშნულია, როგორც კარგა მცოდნე ჩჳჱნის ქჳჱყნის ისტორიისა.

რედაქტორი.

## შესახებ «კავკაზიის არხეოლოგიის მოსიყჳარულე საზოგადოებისა» რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში.

თარგმანი რუსულის სტატიიდამ დ. ბაქრაძისა.

კავკაზიის მხარე, რომელსაცა აქჳს ვრცელი მნიშვნელობა, წარმოადგენს ჰწავლის მხრივ, გამოჩენილს კუთხეს, მრთელის ქჳეყნის ზურგზედ, თუნდა რომ არა ვსთქჳათ რა ამ ქჳეყნის ჰაერზედ, არც ბუნებითს სიმდიდრეზედ, ანუ მიწის მოსავალზედ, იმისს გეოგრაფიულს მდგომარეობაზედ—აზიის და ევროპიის შარაგზათ უნდა შევნიშნოთ, რომ თჳთ უშორეს დროებითგან, ამ ქჳეყნით ანუ იმის მახლობლათ მოძრაობდნენ სხჳა და სხჳა ტომის ხალხნი, რომელნიცა სტოვებდნენ აქ თავიანთ მოსახლეობას და ეს მოსახლენი ირეოდნენ ჩჳენის ქჳეყნის ტომებში. კავკაზს მიელტოდნენ შე-

მძლე და განათლებულნი მრავალნი ტომნი: ეგვიპტელნი, ფინიკიელნი, სპარსნი, ბერძენნი, რომაელნი, ვიზანტიელნი და არაბნი. ისინი აფუძნებდნენ აქ კოლონიებსა, აშენებდნენ თავიანთ საარხიტეკტურო ძეგლებსა, მოჰფენდნე თავიანთ ჩვეულებასა, სარწმუნოებასა და ჴსწავლასა, დღესაცა ვხედავთ იმათს კვალს კავკასიაში; დღესაცა სჩანს აქაურს ენებში ზედმოქმედება სემიტელების, ინდო-ევროპიულის და ტურანის ენებისა: შინაურს ცხოვრებაში და სარწმუნოებრივ წესდებულებაში ვხედავთ კერპთაყვანისმცემლობის ნიშნებს, რომელიცა შერეულია ადგილ-ადგილ ქრისტიანობასა, იმათს წესდებულებში და ადგილ-ადგილ მაჰმადიანობა თჳთ იმათში. კავკასიაში სადაც კი მრავალი შენობაები არის, ვხედავთ ყოველ გვარს იმათს ნახსოვრებს. ის შენობაებიც კი არიან, რაც შენობაები ყოფილან მაშინ, როდესაც თავდაპირველად დაარსებითგან კაცს უკეთებია თავისათჳს სადგომი კლდეებში გამოქვაბულები, მღვიმეები; შემდეგ ვრცელდებიან ნახსოვარნი ბერძენთა, რომაელთა, საეკლესიო-ვიზანტიელთა. ეს უკანასკნელნი გამოჳჩნდებიან ოთხის საუკუნითგან ქრისტეს დაბადების შემდეგ და უფრო გავრცელებულია სომხეთში და საქართველოში. უძველაესნი ამათგანნი, არიან კერპთ-თაყვანის მცემელთ შენო-

ბაებზე. შემდეგში, ე. ი. ათის და ცამეტის საუკუნის შუა, იმათაგან შემოტანილი ხელოვნება, მიიღებს ადგილობრივ ხასიათსა; ზოგიერთა კავკაზიის ალაგებში აღემართებიან თათრულნი მეგლნი, იმათი სასახლეები, მეჩითები, მინარეთები. არხიტეკტურის ღირსების გარდა, ჩუენი ქუეყნის ეკკლესიები და მონასტრები სხუაფრივათაც არიან შესანიშნი; იმ შენობაებზედ ამოჭრილნი არიან ზედ წარწერანი, რომელნიცა გვიანბობენ ადგილობრივ ისტორიასა; იქ შეინახებოდნენ და დღესაც ინახებიან ტყავზედ დაწერილნი ძუელნი საისტორიო ანბავნი და მეფეების განკარგულებანი. რომ არა ვსთქუათ რა ისტორიულ. მანუსკრიპტებზედ, რომელნიცა დიდად გამოსადეგნი არიან, მარტო ის ზედ წარწერაები გვიანბობენ მაშინდელთ დროების ისტორიულს მდგომარეობასა, რომელთაცა ან ცოტათი გაგებული გვაქუს, ან სულ არა შეგვიტყვიარა. იქიდან ვცნობულობთ ხრონოლოგიასა, ადგილობრივ გეოგრაფიასა და სხ. რა მნიშვნელობა ჰქონია იმ ზედ წარწერილობასა და რა მნიშვნელობა აქუს ახლა, ჰსჩანს აქედან, რომ ზოგი ერთა ისტორიკოსებს მრთლად გადმოწერილი აქუს ზედწარწერა თავიანთ შედგენილს ისტორიაში. მაგალითად, ვუჩვენოთ სტეფანოს ორბელიანისაგან შედგენილი «სი-

ონის ისტორია› **XIII** საუკუნეში; და ქართლის-ცხოვრე-ბა, რომელიცა შეკრებილია **XVIII** საუკუნის დასაწ-ყისში საქართუჱლოს მეფის ვახტანგ მეექვსისაგან. რო-მელსაც ჩუჱნმა მსწავლულმა აკადემიკმა ბროსემ, ქარ-თლის-ცხოვრება სთარგმნა ფრანცუზულს ენაზედ, იმან ადგილობრივ ეს ზედწარწერილები არ შეამოწმა **1847-1848** წ. ამათს დაბეჭდვას ვერა ჰბედავდა.

ჩუჱნს დროში მსწავლულთ ხალხთ, არხეოლოგიას საკუთარი ყურადღება მიაქციეს. განათლებულთ მთავ-რობის და კერძო პირთ ღონის-ძიებით ყოველგან შეს-დგებიან საზოგადოებანი, რომელთაცა აზრათა აქუსთ: მოიყვანონ ცნობაში ძუჱლნი სახსოვარნი, აკლდამების გათხრა, სადაცა მოიპოვებიან ძუჱლის დროების კვდარ-თან ჩატანებულნი ნივთები, ზედ წარწერილების შეკრე-ბა და რა მოიყვანოს ყველა ეს ცნობაში, გაავრცელონ ეს ცნობაები ხალხში. ამ არხიოლოგის შეწევნა აღიდ-გინება კარგათ ძუჱლის, დიდის ხნის გამქრალის ხალ-ხობის მდგომარეობა კავკაზის მხარეს, ამ აზრს ჯერ აქამომდე არ შეხებიან, თუმცა ამას, ქუჱყნის ზურგზედ, არხეოლოგიის მხრივ თითქმის უჭირავს პირველ ად-გილთაგანი. ეს სახსოვარნი მარტო თვალსაჩინარნი კი არ არიან, რამდენნი არიან დაფლულნი თჳთ მიწაში,

როგორც გვარწმუნებს, მცხეთა, სადაცა, რა გადათხა-
რეს აკლდამები, რამდენი ღირს შესანიშნი ძჳჱლის
დროსანი, აღმოჩნდნენ, ჩჳჱნ სამწუხაროთ უნდა ვაღვი-
აროთ, რომ ღირს შესანიშნი სახსოვარნი კავკაზიაში,
ვერ შენახულან შეურყევლად. რომელნიც მიწაში დაფუ-
ლულნი არიან, ისინი დაკარგულნი მაინც არ არიან,
მაგრამ რომელნიც სახსოვარნი თჳალსაჩენნი არიან,
ჰაერის ზედ-მოქმედებით იმისნი მშვენიერნი შენობანი
ინგრევიან და თანაც იკარგებიან ის ზედწარწერილო-
ბანი, რომელთაცა შეეძლოთ გადმოეცათ ჩჳჱნთჳს ის
ძვირფასი ადგილობრივი ანბავი, შემთხვევა და ცნობა,
რომელთა ხსენება ისტორიაში არ არის. ამ შემთხვევა-
ში, უფრო დახმარებია მიწის ძჳრა, რომელიცა უფრო
ხშირად მომხდარა მცირე აზიაში და კავკაზიაში. **1319**
წელიწადს, მიწის ძჳრამ სრულებით დაანგრია მშვენი-
ერი სომხეთის ქალაქი, ანი; პირველი ტრდატების სა-
ტახტო ქალაქი და მრავალნი კიდევ სხჳა მონასტრები,
**1840** წ. ამავე მიწის ძჳრამ დააქცია გამოჩენილი
კარნი ჩაის ხეობაში მდებარე მონასტერი აირევანქი,
სადაცა **1834** წ. ფრანცუზის მოგზაურმა დიუბუა-დე-
მონპერემ ჰპოვა იმდენი ზედ წარწერილები, აქამდის
გადმოუღებელნი, რომ იმისის აზრით, შესაძლებელი

იყო იმას გაევსო მთელი წიგნი. **1840** წ. მდიდარი აკო-
რის სოფელი, თავისის ეკკლესიით და ძუელის-ძუელი
წმინდის იაკობის მონასტერი, მდებარე დიდი არარატის
მთის ჩრდილო-დასავლეთის მხრივ, მიწის ძურამ ჩან-
თქო მიწაში, ჩუენ ყუელას გვახსოვს **1856** და **1859**
წ. როდესაც მიწის-ძურამ დასცა ძირს შამახიის ქალა-
ქი და აზრუმის რამდენიმე ქუჩები. მცხოვრებთ უცოდ-
ნელობითაც ინგრევიან სახსოვარნი.

ახალციხის უეზდში, ახლად მოსულნი მცხოვრებ-
ნი შენობაებს ახმარებენ იმ ქუებს, რომელნიცა ჩა-
მონგრეულნი არიან ძუელის ეკკლესიებითგან და ვინ
იცის რამდენს ზედწარწერილებს ჰფარავენ თავიანთ შე-
ნობაში, სვანეთში, ძუელი ხატები, რომელნიცა გა-
უგზავნიათ საქართველოთგან მტრიანობის დროს, და-
სამალავად, ახლა საშინელს მდგომარეობაში არიან.
ვერცხლი და ოქრო, რომელზედაც იყო მრავალი წარ-
წერაები, სრულებით შემოუცრცვნიათ და ცარიელს ფი-
ცარსა სცემენ თაყვანსა. ამას გარდა რამდენი გუჯარე-
ბი, მანუსკრიპტები და ოქმები, რომელნიცა მოიპო-
ვებიან სომხეთში, საქართველოში და იმერეთში, ლპები-
ან ტყუილ-უბრალოთ დაუდევნოლობისა გამო და იკარ-
გებიან. ყველა ამას ესეც დაუმატოთ, რომ თუთ ევრო-

პიულს განათლებას თავის სიკეთესთან, ეს ვნებაც მოაქვს, საცა სვდება იმისი ფეხი, შლის ადგილობრივ ჩვეულობასა. მრავლი ჩვეულობა მრიელ სუსტადლა სჩანს საქართველოში, უფრო უმეტესად დასავლეთისაკენ. მთის ხალხნი არიან მხოლოდ დარჩომილნი თავიანთ ჩვეულობაზედ, რადგანც ევროპიულს განათლებას გზა არ აძლევს ნებას შევიდეს. არ არის ეჭვი, ცოტა ხნის შემდგომს ძველი მრავლი ფეოდალურის დროებისა, ჩვეულება განქრება ისე, რომ პსწავლა ვერ გამოიკვლევს.

აი, რა სამწუხაროს მდგომარეობაში ვხედავთ კავკასსა, შესახებ მრავლის სახსოვრებისა. ამ საგანისათვს საჭირო არის იმ გვარი ღონისძიება, რომ მოვარიდოთ მრავლნი სახსოვარნი წახდენასა, დავიცვათ და გაუბრთხილდეთ. ეს წარმოდგება განათლებულ პირთ შემწეობით და ღონისძიებით. ამ აზრის აღსრულებაში მოსაყვანად, ფიქრობენ დაფუძნდეს ტფილისში «კავკასის არხეოლოგიის მოსიყვარულეთ საზოგადოება» რომელსაცა ექნება საგნად: მოიყვანოს ცნობაში ღირს სახსოვარნი შენობანი; გაუფთხილდეს, არავინ წაახდინოს; ფოტოგრაფიებით გადმოიღოს ისინი და იმათი მხატვრობა; გადმოწეროს ზედ წარწერილები; შეისყიდოს, სადაცა პპოვებს მრავლი ფულები, ოქმები, მანუ-

სკრიპტები ⁊ იმისთანა ნივთები, რომელნიცა წარმოგვიდგენენ ძუელის დროს სახსოვარსა; გადაათხრევინოს ის აკლდამები, სადაცა დაინახავს საჭიროდ, ⁊ სხჳა.

ი. ჭ.

---

## ჩემს შ. გ.

შვილო გ..! იამა მეტად,
რომ ქუეყნად მოხველ შენს მშობელს მამას;
მაგრამ ამას გთხოვ ვიდრე ხარ ქუეყნად,
მტკიცედ დამყარდე ჩემს ანდერს ამას:
ვით მე მიყვარდა და მიყვარს ახლაც
სამშობლო ჩემი, სატრფო მამული,
ეგრეთ მიყვარდეს, შეგეძლოს შენ რაც
და მას მიანდე სული და გული.
არ დაზოგავდე სიცოცხლეს შენა,
მის დიდებისთჳს, ეს არს ბრძენთ წესი,
კაცობრიობას ეს წასწევს წინა,
ეს არს ღირსება უპირველესი!

[illegible]. გ.

*
* *

ანგელოზებრ შეგამკობ, მოჭიკჭიკე ხმიანო,
ბაგეს აღძრავ საამოდ, ბროლის ღაბაბიანო,
უფრო გაქებ დუმილზედ, როს დაიწყებ ქებასა
მეტად მშვიდსა მშვენებით, გთხოვ მოჰყვე ჩემს ნებასა.
მერწმუნე რომ მნათობო, მხოლოდ მით ვარ ცოდვილი,
რომე ვზივარ შეშლილი, ობოლი, მწირი შვილი;
ჭაერში მაშინ ვფრინავ, ოდეს ვხვდები შენს არეს,
ნუ თუ ვერ მხედავ მარად, შენგნით აქე მწუხარეს?
ღმერთავ სიყვარულისა, მარად გეტრფიალები,
ფიანდაზად გეშლები, ფეხ ქვეშ დაგეფინები,
ვით ფარვანა, აღზნებულ სიყვარულით გევლები
იქამომდე, ვიდრემდის, შენ შუქს არ შევაკვდები!
ნეტარებად მიმჩანს რა, ვმზერ მაგ ჟუჟუნ თვალებსა,
შორით მოგეფარები, შენთან გავიშლი ფრთებსა,
ქარს დავაყენებ ფრთებით, მოგიყუდროებ სიოს,
ნეტა რა დრო იქნება, გული წადილს ეწიოს!
ერთად გავიყოთ მაშინ, თანასწორ ლხინი, ჭირი,
მით დავიცვათ სიამით, საღმრთო ჩვენი კავშირი,
ვიდრე ჟამი გვიდარის, დავმღეროთ სიყვარული,
ბოლოს ისევე ერთად, ერთად დავლიოთ სული!

კონსტანტინე ბერმენოვი-კობალაძე.

# კატაკომბი.

ისტორიული ამბავი, მომხდარი მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ქრისტეს დაბადების შემდგომს.

ვთხოვთ ამ მოთხრობის მკითხველს, ჯერ პირველად, მინამ უამბობდე ამ გულის სატანჯავს ამბავსა, გამომყვეს და ვაჩვენო რომის ქალაქის ქუჩები, რომელს ამბავსაც ჩვენ გიამბობთ, ეს ამბავი მოხდა სეკტემბრის თვეში 302 წელსა, ქრისტეს დაბადების შემდგომს. მზე ჩადიოდა დასავლეთისაკენ, რადგანაც იყო საღამო, ცა იყო მოწმენდილი, ჰაერი ჰბერავდა გრილი და ხალხი მიდიოდა კეისრის ბაღისაკენ გასასეირნებლად, სადაცა უნდოდათ შეეტყოთ ქალაქის ახალი ამბავები.

იმ კვარტალსა, სადაცა ამბავი მოხდა და უნდა უამბოთ ჩვენ მკითხველებს, ჰქვიან მარსოვის მინდორის კვარტალი და მდებარეობს ტიბროსა და შვიდის გორაკების შუა მჭულის რომისა.

რესპუბლიკის უკანასკნელს დროში ამ მარსოვის მინდორზედ რომაელების ჯარს ავარჯიშებდნენ ხოლმე, მაგრამ როდესაც ეს ამბავი მოხდა, იმ დროს ეს მინდორი გაშენებული იყო სასახლეებითა. პომპეიმ აღაშენა იქ თეატრი; აგრიპპამ აღაშენა სასახლე და ამ სასახლის ახლო აბანოები, ამ მინდორზედ შემდგომს ცოტ-ცოტაობით სახლები. ერთ-ერთს ამ სახლებთაგანში, უნდა შევიყვანო ჩუენი მკითხველი. გარეთგან რომ შეხედოთ ამ სახლს, ვერაფერათ გეჩვენებათ; ამ სახლს რაღაც რამ სამწუხარო შეხედულობა აქუს. კედლები უბრალოა, მაღალი არ არის და ზოგი ერთს ალაგს წვრილი ფანჯრები აქუს. ამ ოთხ-კუთხიანს სახლს, ერთის მხრითგან შესავალი აქუს, კარებს ორი სვეტი აქუს მიდგმული, რომ შეხვალთ, დაგხვდებათ ეზო, მარმარილოს ქუებით მოკირწყლული, შუაგულს მარმარილოსავე ჭაუზი აქუს, შიგ გადმოჩქრიალებს წყალი, რომლის წინწკლები ნამამენ გარშემო მშვენიერს ყვავილებსა, პირ და პირ ზალაში შესავალი კარებია, რომ შეხვალთ, დაგხვდებათ ძვირფასი მებილები, სკამებია სრულებით სპილოს ძვლისა, ზოგი ერთს ალაგს ვერცხლის სკამებიცა დგას, სტოლებია ძვირფასის ხისა და აქა იქ ჭერებში ბრონზის კანდელაბრები ჰკიდია, ისე-

თის ხელოვნებით გაკეთებულები, რომელს ხელოვნებას ახლა ვეღარ შეხვდება კაცი, კედლები დახატულია სხჳა და სხჳა გვარ მხატვრობითა, შუა ალაგს ჭერში, მრგვლად ბანი აქჳს, ზედ გადაკრული ბროლით, საიდანაც მზის შუქი დასცემს მრთელს ზალასა, პირ და პირ კიდევ შესავალი კარებია, რომლის იქით ოთახებია, აგრეთვე ძვირფასად მორთული და ძვირფასად დახატული. რამდენიმე ოთახების იქით, მიყრუებულს, დაღვრემილს ოთახში, ზის ხანში შესული დედაკაცი. სახე აქჳს მშვიდობიანი, მაგრამ დაღვრემილი და სევდიანი, რომ თვალ დაკვირვებით შეხედოთ, შეატყობთ რომ გამოუვლია დიდი მწუხარება, დიდი უბედურება და მოჰკლებია სახლის ბურჯი, მაგრამ სულით კიდევ მტკიცეთ არის. თმები თითქმის სრულებით გათეთრებული აქჳს, დავარცხნილი აქჳს სუფთად და ტანთაც უბრალოთ აცვია, ძვირფასი ნივთეულობა არა აქჳს რა, თუმცა რომაელებს ძჳელ დროში ძრიელ უყვარდათ, ტანზედ ძვირფასის ნივთების შესხმა. მხოლოდ გულზედა ჰკიდია წვრილი ოქროს ძეწკვი, რომლის წვერი უბეში დამალულია, ჰსჩანს ძვირფასი სახსოვარი უნდა იყოს. ეს ხანში შესული დედაკაცი, ქარგაზედ გაბმულს ძვირფასს გადასაფარებელსა ქსოვს, მაგრამ, თან ჰკერავს და თან

მალმალ კარებს უცქერებს, თითქოს მოელის ვისმეო. ზოგჯერ თავს დაანებებს მუშაობას, ხომ ფეხის ხმა არ ისმისო. რამდენსაც მოელის, იმდენი სასოება ეკარგება ჭ თვალი კარებისაკენ უჭირავს, ბოლოს პირის სახე გაუმხიარულდება, წამოვარდება სიხარულით, თითქოს უნდა მიეგებოსო იმ საყვარელს კაცს, რომელიცა უყვარს. იქნება ვერ შეიტყვეთ მკითხველნო, ჭ ვერ მიხვდით იმ დედაკაცის ასე მოუთმენლივ მოლოდებას? ის დედაკაცი იყო, ერთად ერთის შვილისა პატრონი რომელსაცა მოელოდა მოუთმენლივ.

აი, შემოვიდა. ის იყო თოთხმეტის წლისა, მაგრამ ისეთი მაღალის ტანისა იყო, რომ კაცი ვერ იფიქრებდა, ამ წლოვანებაში იყო. სახე ჰქონდა ლამაზი, თვალებითგან გამომეტყველებდნენ მახვილი აზრები, რომ შეგეხედნათ ამ ყმაწვილისათჳს, მაშინვე იფიქრებდით, რომ ეს არა ფიქრობდა თავის ყმაწვილურს ცელქობაზედ ჭ რაღაცა მწუხარება აწვა იმისგულსა. იმასა ჰქონდა გული გამბედავი, მრიელის ხასიათების პატრონი ჭ ფიქრიანი, ამ ყმაწვილს შემოჰყვა მსახური, რომელსაცა ხელში ეჭირა წიგნებით სავსე აბგა. ცხადათა ჩანდა რომ ის ყმაწვილი მოდიოდა შკოლითგანა.

როდესაც უმაწვილი დედას მოესალმა, გვერდით მიუჯდა.

— აქამდისინ სად იყავი ჩემო შვილო? ჰკითხა დედამ. იმედი მაქუს არაფერს ცუდს მოსავალს არ შე-ხვდებოდი.

— არა, გარწმუნებ საყვარელო დედავ, იმისთანა არა მომხდარა რა, სულ სწორეთ გიანბობ, ხომ იცი არას დაგიმალავ.

დედამ გაუღიმა მშვიდობიანათ და კეთილის სახით.

— პირველად ეს უნდა გითხრა დედავ, რომ კარ-გის სწავლისათჳს მივიღე დაფნის გვირგვინი ჯილ-დოდ. ჩუენმა მასწავლებელმა კასსინმა, მოგვცა კითხვა, «ჭეშმარიტმა ფილოსოფოსმა, უნდა შესწიროს თავისი თავი ჭეშმარიტებისათჳსო.» ჩემმა ამხანაგებმა, ყველამ წაუკითხეს თავისი თხზულება, მაგრამ უნდა [illegible] მოგახსენო, ყველას თხზულება ცუდათ [illegible]. არცა სტყუიან, ვერ დაწერეს ისე, როგორც [illegible] იყო, რადგანც იმათ არ იციან, რა არის ჭეშმარიტება. იმათი ცხოვრება ჭეშმარიტებითგან შორს არის, იმათ არ იცი-ან ჭეშმარიტების კანონები, დღეს მომაგონდი შენცა და მამა ჩემიცა, რომელმაცა თავი შესწირა და მოკვდა ჭეშ-მარიტებისა და სიმართლისათჳს. როდესაც ჩუენმა მას-

წავლებელმა კასსინმა წაიკითხა ჩემი თხზულება სიმართლეზედ, ის შეკრთა, მერე ყურში ჩუმათ წამიჩურჩულა, უბრთხილდი შვილო, არ არიან იმისთანა შეგირდები, რომელთაცა ყური მახვილი აქვთო.

— როგორ! სიტყვა წაართვა დედამ,-განა კასსინი ქრისტიანია! მადლობა ღმერთს, რადგანც ქრისტიანს მასწავლებელს შეხვდი შვილო, ჩუჱნ ძრიელ საშიშარს დროში ვცხოვრებთ, ჩუჱნ სამშობლოს ქუჱყანაში, ისეთს შიშს ქუჱშა ვართ ჩუჱნ ქრისტიანები, რომ საიდუმლოთ უნდა ვიმოქმედოთ, გვეშინიან ცრუ მოწმებისა და მტრებისა, ძლივსა გვაქუს ცნობა ჩუჱნის ძმების ქრისტიანობისა, რადგანაც ახლო ვერ ვეკარებით შიშისაგან, გვდევნიან კერპთ თაყვანის მცემლები და თჳთან კერპთ თაყვანის მცემელი, თუ რომ შეიტყე კასსიანე ქრისტიანია, მაშინათვე შკოლას დაუკეტამენ, მაგრამ, თქვი შვილო სხუა კიდევ რა იყო. ნუ თუ რაც იმან გითხრა, მართალი საშიშარია?

— მგონია, აგრე უნდა იყოს. მინამ ჩემი ამხანაგები მაქებდნენ, იქ ერთი შაგირდი ურევია, კორვინი, რომელიცა არის ჩუჱნი სამის ქალაქის მსაჯულის შვილი, ის თვალებში შემომაცქერდა და ტუჩების კვნეტა დაიწყო.

— მართლა შვილო?

— დიახ! ის ყველაზედ უფროსი შეგირდია, მაგრამ გონება დახშული აქჳს, თითქმის ვერასა სწავლობს, თუმცა ეს ბუნებით უნიჭობა იმისი დანაშაული არ არის, მაგრამ მეტი ბი-როტია. იმას მრიელ ვეჯავრები ჭე და არ ვიცი ჭეშმარიტათ, თუ რათა? როდესაც სწავლა გათავდა, ქუჩაში გავდიოდი, უცებ ჩემს ამხანაგებში მომვარდა და დამიწყო გინება,» აი შენ საზიზღარო პანკრატი, განა საქმე აგრე ყოფილა, განა შენც ქრისტიანი ხარო, დღეს უკანასკნელად ჰნახე შკოლაში და იმას იქით მე ვიცი, მაგას ყველას მამა ჩემს ვეტყვით, შენ კარგათ იცი, კეისარის ბძანებით, როგორც მსაჯული, ქრისტიანებს როგორა სდევნისო; მალე დაგიჭერენ შენცა და ჩამოგახრჩობენო.»

დედა მეტის შიშისაგან, ათრთოლდა და, შვილი მაინც ლაპარაკობდა.

— ეს რომ მითხრა, მუშტში გამომითხოვა, მე არ შევიქენი თანახმა, რადგანაც ჩუჱნი სარწმუნოების წინააღმდეგია, მშვიდობიანათ უთხარი, ჩემის თხზულების დაწერით, ხომ შეურაცხება არავისათჳს მიმიყენებია მეთქი; მოვშორდი, ეგება თავი დაენებებინა, მაგრამ კორნილი მომვარდა, კელი მაგრა წამავლო და

დაიყვირა «არა, შენ მე ჴელითგან ვერ წამისვალ, შენ ვირის თავის თაყვანის მცემელოვო, შენ არ მეუბნები ხომ სადაცა დგეხარ, მაგრამ მე მალე შევიტყოფ და გა-დაგიხდიო.» ეს მითხრა დამუქარებით და დამკრა, მაგ-რამ ჩუენში ქრისტეს სასარების მიხედვითა მე მეორე მხარე მიუშვირე.

ესა სთქჳა ყმაწვილმა და ტირილი დაიწყო.

— კარგი შვილო, ნუ ტირი, მითხარი სხჳა რა იყო? ჰკითხა დედამ.

— იმ დროს ჩუენი მასწავლებელი კასსიანე მო-გვესწრო, იმან გამაგდებინა ჴელითგან, უნდა დაესაჯა კოროვინია, მაგრამ მე შევეხვეწე, ეპატიებინა.

ამ დროს მოახლე შემოვიდა, იმან აანთო ბრონ-ზის ლამპები და მოუკიდა ყველა ოთახში კანდელაბრებ-სა. სინათლემ შეაყენა შუქი ლიუცინიას და იმის შვილს. პანკრატის დედამ დაჰკოცნა შვილი, ერთად ერთი, მხო-ლოდ შობილი, მეორე დღესვე დედამ დაატევებინა შვილს შკოლა, რადგანც სწავლაც შეესრულებინა და პან-კრატი გამოვიდა ქუეყანაში; დედა ზრდიდა იმას, როცა სრული წლოვანი შეიქნებოდა ღვდლათა, მაშინ ღვდლო-ბა პირველი წოდება იყო. ისეთი შიში იყო იმ დროს ქრისტე თაყვანის მცემლებთაგან, რომ პირველი მსწავლულ-

ნი და განათლებულნი გაბედჳთ ეკურთებოდნენ მღვდლებად და ეპისკოპოზებად, არ ეპუებოდნენ არც დახრჩობასა და არც ისრით დახვრეტასა. არც ერთს ქრისტიანს არ შეეძლო მაშინ, აეცდინა და მორიდებოდა სიკვდილს, ყველამ იცოდა, ენდა მომკვდარიყო ტანჯჳთ დღეს იყო, თუ ხვალ; ისინი იხოცებოდნენ მოწამენი და ეს დიდ ბედნიერებად მიაჩნდათ. იმათი ფიქრი და ზრუნვა მხოლოდ ეს იყო, როგორმე მოექციათ კერპთ თაყვანის მცემლები ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზედ. მღვდლების მოვალეობა იყო, ეზრუნათ ღარიბ ქრისტიანეთათჳს, მოევლოთ ავათმყოფებისათჳს და როდესაც მთავრობა კეისრისა მოახელებდა, მაშინ გამოჰყავდათ ეს ქრისტიანები და შეკრულებს, ცოცხლად, დიდს მეიდანზედ მიუყრიდნენ მძვინვარე პირუტყვებს, ფოცხვერებს, სპილოებს და დათვებს, გასაკლეჯათ; ამათ ტანჯვას და ფლეთას რომაელნი უყურებდნენ სიამოვნებით. პირველად მაგალითს აჩვენებდნენ სამღვდელონი და იხოცებოდნენ ქრისტიანობრივის სარწმუნოებისათჳს ათასობით, ლიუცილამ, პანკრატის დედამ იცოდა, რომ ბევრი დედა ატირებულიყო, შვილების გაჟლეტაზედ, თჳთან აპის ქმარიც მოკლეს დიდის ტანჯვით, ქრისტიანი რათა ხარო, ფიან იმპერატორის ბძანებით. დედა სწუხდა,

ვაჲ თუ შვილიც იმავე ტანჯვას მისცემოდა, მაგრამ მღჳთიურმა გრძნობამ დასძლია და უთხრა შვილსა.

— სულ მაგას ვთხოვდი ღმერთსა შვილო, რომ შენახე ღირსი ქრისტიანე და ჩჳჱნი სახარების სიტყვე-ბის მცოდნე. მე ვიცი, შენა ხარ კეთილი, მორჩილი, გიყვარს ღმერთი და მოყვასი. განუზომელის სიხარული-თა ვტკბები, როდესაც ვხედავ, რომ გძულს სიმდიდრე, გიყვარს ღარიბი და ეწევი იმათ, ეგ თჳსება სულ მა-მისა გაქჳს შვილო. ბედნიერი არის შვილო ის კაცი, ვინცა მოკვდება სარწმუნოებისათჳს, ერთის სიტყვით, ვინცა მოკვდება სიმართლისათჳს.

— მეც აგრე მგონია დედავ, რომ სარწმუნოები-სათჳს სიკვდილი, ბედნიერებაა.

— შენა ხარ ნამდვილი შვილი დედიშენისა. გსურს რომ ყველაში იმასა ჰბაძავდე.

— რასაკვირველია საყვარელო დედავ. თუმცა არ მოვსწრებივარ მამა ჩემსა,მაგრამ იმისი ავსება გულში ჩარჩენილი მაქჳს. მე გამიგონია, კეთილი ყოფილა, სიმართლის გზაზედ უვლია და იმ სიმართლისათჳს მო-კლულა, ყოველ წელიწადს, როდესაც ჩჳჱნი ქრისტი-ანები იმის სიკვდილის დღეს ჰანაშვიდს იხდიან, მე ჰგრძნობ მაშინ, რომ გული მიცემს და სისხლი მიდუღს,

ბედნიერად მომკვდარა ის და ვთხოვ ღმერთსა, მომცეს იმისივე მტკიცე სული, რომ გაბედვით მოვკვდე ჩუჱ-ნის სარწმუნოებისათჳს.

— ჩუმათ! ჩუმათ! უთხრა დედამ კანკალის ხმით. პანკრატი იყო იმისი ერთი შვილი, ქუჱყანაზედ ამისა მეტი არა ვინა ჰყავდა და მრთელი თავისი იმედი ამა-ზედა ჰქონდა. ის იყო მტკიცე გულის დედაკაცი, ერთ-გული მორწმუნე თავის სარწმუნოებისა, მაგრამ იყო დედა და მშობლიური გული რასაკვირველია შეიმსჭვა-ლებოდა, შვილი რომ ლაპარაკობდა სიკვდილზედ.

— შენ დაგრჩა სამკდროდ მამი შენისაგან დიდი შემლება, დიდი ღირსება, მაგრამ ერთი ძვირფასი რა-მა მაქუს რომელიცა ახლა უნდა გადმოგცე შვილო.

ესა სთქუა დედამ, აისხნა გულითგან ჯაჭვი და ჩა-მოჰკიდა შვილს ყელზედ. ამ მეწკვის წვერზედ პატარა ოქროს ყუთი იყო ძვირფასის თვლებით მოჭედილი, შიგ იყო, თავისის ქმრის სისხლი.

— აი შვილო, ამაში არის მამა შენის სისხლი, იმ დროს იქ ვიყავი, როდესაცა ჰკლავდნენ სარწმუნო-ებისათჳს, ისე გული გამიქუავდა, რომ აქ ჩავასხი იმი-სი მცირე სისხლი და შევინახე, როგორც წმინდა სახ-სოვარი.

ცრემლები წამოუვიდნენ თვალებითგან, და სცვივდებოდნენ შვილს ღაწვზედ, რომელიცა ედჳა კალთაში. იმას ეგონა ამ დროს, რომ სული მამისა, დაჰყურებდა ზეცითგან და აღვსებდა შვილის გულს სიმტკიცით, სარწმუნოებით და გაბედულობით. ჰანკრატი გრძნობდა, რომ მზათ იყო თავის მამის მგზავრად, უმსხვერპლა თავი სარწმუნოებისათჳს.

# II

მინამ ეს ანბავი, გულის საკვდავი, მოხდებოდა ლიუცინას სახლში, დედა შვილის შორის, სხუა მდი-დარს სახლში, რომელიცა ეკუთვნოდა ფაბიასა, რომის დედაკაცსა, მოხდა კიდევ სხუა ანბავი, რომელსაცა უან-ბობთ მკითხველსა. ფიაბია იყო მდიდარი; იმისი სახ-ლი ისეთის სიმდიდრით იყო მორთული, რომ მაშინ-დელი იმ მორთულობისა დარჩენილი ახლა რომის და ნეაპოლის მუზეუმში, დიდად აკვირვებს მოგზაურსა. ოთახები იყო დიდროანი, მარმარილოს პოლები და-ფენილი იყო სპარსეთის ხალებითა, ფანჯრები და კარე-ბი განშვენებული იყო ჩინეთის მატერიითა, მებილებს გადაკრული ჰქონდა, სრულებით დიბა. თჳთან ფაბია წარმოვიდგენდათ მართლად და, მაშინდელის დროს რო-მაელსა. ის იყო კაცი მხიარული, უყვარდა კარგი ცხოვ-რება და თავის სიამოვნებისათჳს არასა ზოგავდა, უყ-

ვარდა თავისი ახლო მცნობებში დროს გატარება, სიარული ცირკებში, მუზიკა და კითხვა პოეტების ლექსებისა. იმას ასე ეგონა, მინამ კაცი ცოცხალი არის, ამ ქვეყანად სიამოვნების მეტი არა არისრა. ის არც თუ კერპთ-თაყვანის მცემელი იყო, თუმცა იმათ სარწმუნოებას ეკუთნოდა, იმას არა სწამდა არც იუპიტერ ღმერთა, არც მინერვა, არცა მერკურია, იმას კარგათ ესმოდა, რომ ეს ღმერთები სულ ხალხის ოცნება და სისულელე იყო, მაგრამ რადგანც ესეც, როგორცა ვთქვით, კერპთ-თაყვანის მცემელთ სარწმუნოებას ეკუთვნოდა, მეტი გზა არ იყო, დადიოდა იმათ ტაძრებში. მაშინდელს დროში, სასეირო და დროს გამატარებელს ადგილებს, უწოდებდნენ აბანოებს, მაშინ არ იყო არცა რესტორაციები, არცა კლუბები ახლანდელივით, იქ შეიძლებოდა ბურთის თამაშობა, ჭანდრაკისა, შეტყობა ახალის ანბავებისა, რადგანც ხალხი იარებოდა და ახალი წიგნების კითხვა, იქ იკრიბებოდნენ ყველა რომის მდიდარნი, დროს გასატარებლად, ამ აბანოებითგან, მერე მიდიოდნენ დიდს მეიდანზედ, იქა სჯდნენ და ლაპარაკობდნენ პოლიტიკურ საქმეებზედ, ბოლოს შედიოდნენ ქალაქის გასასეირნებელს ბაღში და ისე ამ სახით დროს ატარებდნენ, როდესაც ფაბიას მობეზრდე-

ზოდა, ეს სიარული, დაბრუნდებოდა შინა და მოიწვევდა ვახშამზედ თავის ახლო მცნობ მეგობრებს. რომაელებმა ვახშამი რვა საათზედ იცოდნენ, იმათ ძრიელ უყვარდათ მდიდარი საჭმელები, რომლისათჳს ფულს უხვად ხარჯავდნენ. ყველა მხრითგან მიჰქონდათ რომში იშვიათი ფრინველი, იშვიათი თევზეულობა, ტკბილი ხილი და რამდენ გვარი ტკბილეულება.

ფამიდ კეთილი კაცი იყო, ის კარგათ ეპყრობოდა თავის მონებს, ასე უწოდებდნენ მაშინ ყმებსა, განებიერებული ჰყვანდათ თავისი ქალი, რომლის მეტი არა ჰყვანდა და გასათხოვარიც იყო. ერთის სიტყვით ის ბოროტს არავის უზავდა, მაგრამ ამას კი არა ფიქრობდა, რასაც ერთს ვახშამზედ დახარჯავდა, იმითი ერთს ღარიბს სახლობას შეეძლო მთელს წელიწადს მაძღრად ეცხოვრა, ახლაც კი აგრე ხშირად არავინ ფიქრობს ამაზედ და მაშინ ხომ ვინ იფიქრებდა. ჩუჱნა გვაქჳს ღარიბებისათჳს საცხოვრებელი სახლები, ავათმყოფის მოსავლელი, მაგრამ მაშინ ესენი არ იყო. ფაბიას იმდენი დრო არა ჰქონდა ღარიბებისთჳს ეფიქრებინა რამე, იმას მარტო თავისი თავი უყვარდა, მარტო თავისის სიამოვნებისათჳს სცხოვრებდა, მხოლოდ იმას ძრიელ უყვარდა თავისი ქალი, მეტად მშვენიერი

ფაბიოლლა. ასე არის მშობლების გრძნობა, რაც უნდა წუწკი იყოს სხვისათჳს. ის აჩუქებდა ხოლმე თავის ქალს მდიდარს ნივთებს, მდიდარს ტანისამოსებს, ცდილობდა იმისი ზანდუკი, ქისა ყოველთჳს სავსე ყოფილიყო ოქროებითა და ემსახურნათ იმდენ მონებს, რამდენიც იმას ესიამოვნებოდა. ფაბიოლლა მეტად ლამაზი იყო, ჭკვიანი და ნასწავლი, იმისი სადგომი ოთახები უფრო მდიდრად მორთული იყო, მინამ მამისა. რომელს კრაოტზედაც იწვა, ის კრაოტი იყო სპილოს ძვლისა და დაფენილი ძვირფასის ფარჩებითა, პირ და პირ ეკიდა დიდი ოქროს ჩარჩოში ჩასმული სარკე, რომლის წინ, წითელს მარმარილოს სტოლზედ ეწყო, ათას ნაირი ძვირფასი ბრილიანტეულება, თავის თავის სამ კაული, და ძვირფასი სასუნებლები. რაც კი რამ ავეჯულობა მოიპოვებოდა იმის ოთახში, სულ ოქრო და ვერცხლი იყო. ფაბიოლლა იყო ოცდა ერთის წლის ქალი. ის იყო, როგორცა ვთქვით, ძრიელ ლამაზი, დიდი კაცის ქალი და მდიდარი, მაგრამ ამასაც ყველა მობეზრებული ჰქონდა. ამისი ხასიათები მამისას სრულებით არ ემგზავსებოდა. ის იყო ამპარტავანი, მედიდური, ანჩხლი და ბძანების მოყვარე. ის ყველასაგან ამას მოითხოვდა, ვინცკი გარს ეხვივნენ, ბრძანების

მორჩილნი ყოფილიყვნენ, მოწიწებით მოქცეოდნენ და კრძალვით. ის იყო მამისაგან, თავ და პირველადვე მე-ტად განებივრებული, მამას უხაროდა, ძიძა და გამდე-ლი ფაბიოლასი, რომელნიცა უფროსობდნენ სხვა მონა გოგოები, ექცეოდნენ ქალბატონს სიყვარულით, მოწიწებით და მორჩილებით, ოღონდა ერთი ებძანები-ნა რამე და მაშინთვე მზათ იდგნენ, აღესრულებინათ. ფაბიოლამ კარგათ იცოდა საკრავის დაკვრა, მშვენი-ერად მღეროდა და თამაშობდა, ლაპარაკობდა წმინდად ბერძნულს ენაზედ და განთქმული იყო მთელს რომში, როგორც განათლებული გასათხოვარი ქალი, იმას უყ-ვარდა წიგნების კითხვა, მაგრამ ისიცკი მამისათჳს ფიქ-რობდა მხოლოდ თავის თავზედ და თავის სიამოვნება-ზედ. იმას სრულებით გაგება არა ჰქონდა თუ ადამი-ანს ამ ქვეყნად რა მოვალეობა აწევს, არ იცოდა რა იყო მოწყალე გული, მოყვსის სიყვარული. ყველა უხ-ვადა ჰქონდა და ყველა მობეზრებოდა. ფაბიოლას ეგა-ეგონა, რომ რაღაცა და ვიღაცა კაცები არიან, რომელ-თაცა ჰსწამთ ვიღაცა ქრისტე, კაცი ღარიბი და ჯვარს გაკრული რაღაცა დანაშაულისათჳსაო, იმას მრიელა სძულდა ქრისტიანები, რადგანაც ეგონა გაუნათლებელნი არიან, მდაბალის სულისა და მოუხეშავნიო. მაგრამ ის

მაინც ამ ქრისტიანებზედ ცოტასა ფიქრობდა, როგორც ახლა ცოტასა ფიქრობენ მდიდარნი და ბედნიერნი, იმ კაცებზედ, რომელნიცა ოფლს იწმენდენ სიღარიბეში, იტანჯებიან და სულით სნეულნი არიან, თავიანთ კერპთ-თაყვანის მცემელთ კერპებიც არაფრად მიაჩნდა, როგორც იმის მამასა, მაგრამ დადიოდა კი ტაძარში, ხალხის გულისათჳს. ამას ბევრნი ჰყვანდნენ საქმროები, მაგრამ ის გათხოვებას არ ჩქაროდა, რადგანც მამასთან ცხოვრებაა უკეთ მიაჩნდა, თავისუფლად. არც ერთი არ მოსწონდა იმას თავის საქმროებში.

ფაბიოლა წამოწოლილი იყო თავის მდიდრათ მორთულს ტახტზედ; იმას ეჭირა მარცხნივ ჴელში ოქროს ჩარჩოში ჩასმული პატარა სარკე, მარჯვენას ჴელში, პატარა ხანჯალი, რომელსაც ტარი ჰქონდა სპილოს ძვლისა და თავზედ ოქროს გრგოლი ჰქონდა გაკეთებული, ამ გრგოლით იკიდებდა სარტყელზედ. რათ ატარებდა ხანჯალს ეს ქალიო? იკითხავს მკითხველი. დროება იცვლება, მაშინ სიბნელით მოცული დრო იყო, მძიმე დრო იყო იმათათჳს, ვინც არ დაბადებულიყო მდიდრად და დიდ კაცად. ვინც კერპთ-თაყვანის მცემელნი იყვნენ რომში, იმათ მარტო თავისი თავი მიაჩნდათ ადამიანად, სხჳა სარწმუნოების ხალხს ისე უყუ-

რებდნენ, როგორც ჰიროუტყვებს, მტარვალებს, ბარბა-როსებს, თავიანთ ყმებს, რომელნიც მდიდარნი იყვნენ, ჰიროუტყვებათა სახავდნენ, იმათ სარწმუნოებას არ ეს-წავლებინა იმათათჳს, რომ კაცი საზოგადოდ ერთია, ღმერთმან თანასწორ დაბადა. კერპთ-თაყვანის მცემელთ სარწმუნოება, აბა რა ასწავლიდა იმას, რაცა გვასწავ-ლა ჩუენ ქრისტეს ღუთიურმა სწავლამ, მხოლოდ ერ-თი არის ქუეყანაზედ სახარების სწავლა, რომელიცა გვასწავის სიყუარულსა და მშვიდობასა. ახლა ხომ მი-ხვდით, რისათვისაც ეჭირა ფაბიოლლას ხელში ხანჯა-ლი? რადგანც იმას მოახლე, მიაჩნდა როგორც შინა-ური, სახლის ჰიროუტყვი, ის დაჰკრამდა ხოლმე ყო-ველთჳს ხანჯალს, თუ რომ ისე ვერ აამებდნენ, რო-გორც იმის გულსა სურდა, ბოროტი გული კი არა ჰქონდა, მხოლოდ არა ჰქონდა გაგება, თუ რა იყო სიმართლე, როგორც ახლა ესმის ყველა განათლებულს ხალხსა, ე. ი. ქრისტიანებს, ისე არ არის გავრცელე-ბული ძმური სიყვარული არსად, როგორც არის ქრის-ტიანები. აბა მივხედოთ ოსმალებს, ჩინეთელებს, ია-პონიელებს,—იმათ კაცის სიცოცხლე ცალფულათ არ მიაჩნიათ; კაცი რომ მოკლან იმათათჳს ეს არაფერია. სადაც კაცის სიცოცხლეს მოწიწებით და სიბრთხილით

უყურებენ, იქ იცოდეთ ქრისტეს მღთიური სწავლაა, ქრისტიანობა არის მიზეზი ხალხის განათლებისა, იმისაგან არიან დავალებულნი რამდენნი მილლიონნი ხალხნი.

დაუბრუნდეთ ისევე ფაბიოლლასა, სამი მოახლე, მონები, ფარვანასსაებრ დასტრიალებდნენ გარსა. ეს სამნივე მოახლენი იყვნენ სხჳა და სხჳა ქჳეყნისანი, ნასყიდნი ძვირად, რადგანც სამნივე ერთმანერთზედ თავიანთ ქჳეყნის შესაგვარად მეტად ლამაზები იყვნენ. ერთი იყო შავის კანისა აფრიკანელი, ე. ი. არაბი, მაგრამ ისეთი მახინჯი კი არა, როგორიც ჩჳენ გვინახავს, არა, ის იყო წმინდას შავის და ნაზის კანისა. სახე მშვენივრად მოწყობით მოყვანილი, ის იყო მკითხავი და იცოდა ყველა მცენარეების ავსება, იცოდა რომელი რის წამალი იყო, იცოდა რისაგანაც საწამლავი კეთდებოდა; მას ერქვა სახელად აფრა. მეორე მოახლეს ერქვა გრაია, ის იყო ჩინებული მოლაპარაკე, იცოდა კარგად ჭრა და კერა, ემსახურებოდა ქალბატონს დედის ერთგულებით, ისა ვარცხნიდა თავსა, ის აცმევდა და ხურავდა; მესამეს ერქვა სირა, რომელიცა იყო სირიის ქჳეყნითგან, ესეც მკერავი იყო და მეტად მშვიდობიანად აღასრულებდა თავის სამსახურსა, ის იყო

მშვიდობიანი, ჩუმი, უთქმელად აკეთებდა ყველა ფერსა და იქამდინ მუშაობდა, მინამ ძალა გამოელეოდა, აფრა და ვრათა, სულ იმასა ცდილობდნენ თავიანთ თავი ქალბატონისათვის მოეწონებინათ და ამისათვის მცბიერებით აქებდნენ ხოლმე სირას.

— რა ბედნიერი ვიქნებოდი საყვარელო ქალბატონო, უთხრა აფრამ, მცბიერებით, რომ მენახე დღეს სტუმრათ რომ მიხვალ სასახლეში, როგორ დაფეთდება შენის სილამაზით ხალხი, მერე რა კარგათ მორთე.

— მე მაგ ბედნიერებას ვინ მაღირსებს და ან როგორ გავბედავ ვიფიქრო, დაუმატა ვრაიამ, მე ამითაც ვიქნებოდი ბედნიერი, რომ საიდანმე კარებითგან შემომახედა და მაჩვენა შენი სილამაზე, მაჩვენა როგორა გშვენის ეგ კაბა, რომელიცა მამაშენმა განგებ დაიბარა აზიითგან, ტყუილათ კი არ ვიმუშავე მრთელი ღამე, რომ მესიამოვნებინა შენთვის.

— შენ რაღას იტყვი სირა, შენ რა გამიკეთე დღეს ჩემი მასიამოვნებელი, რით შეგიძლიან დაიქადო, უბძანა ფებიოლლამ.

— მე არაფრით არ შემიძლიან დავიქადო, ჩემო კეთილო ქალბატონო, მხოლოდ დღეს მე ის გავაკეთე, რაც ჩემი ვალი გახლდათ.

ეს თავმდაბალი და გულის სიწმინდით ამისი პასუხი ვერაფრათ მოეწონა განებიერებულს ქალბატონსა, რომელიცა ასე დიდათ ამპარტავნობდა.

— შენგან თავის დღეში სასიამოვნოს სიტყვას ვერ გავიგონებ, უბძანა სირას ფაბიოლლამ, წყრომით.

— განა რა ფასსა სდებ შენი მონების მცბიერებით ქებასა, უპატივცემულესო ქალბატონო-გთხოვთ მოახსენა სირამ,-შენა ბძანდები მდიდარი, მდიდარი კაცის შვილი, რომელიცა შეჩვეულხარ მცბიერებით ქებასა დიდის კაცებისაგან, ნუ თუ არ უყურებ იძულებით შენი მონების ქებასა?

ფაბიოლლა გაჯავრდა, რომ მოისმინა სირასაგან ეს სიტყვები, იმისათჳს რომ იმისის აზრით, მონას უფლება არა ჰქონდა დაიწყოს სხვა ქალბატონისათჳს. როგორ გაბედა და წამოსთქუა პირითგან ამ გვარი, თითქმის დარიგება.

— განა კიდევ უნდა გაგიმეორო, ეგ ამდენჯერ მიბძანებია, რომ შენა ხარ ჩემი საკუთრება, შენა ხარ ჩემი მონა, მე შენ მიყიდნიხარ დიდ ფულად ამისათჳს რომ მემსახურო და მასიამოვნო ისე, როგორც მე მსურს. რაც უფლება შენ სამსახურზედა მაქუს, ის უფლება მაქუს თჳთან შენს ენაზედა. თუ ჩემი სურვი-

ლია მაქო, უნდა მაქო კიდეც. შენა გსურს ჩემი ქება თუ არა, ეგ ჩემი საქმე არ არის, სასაცილოც არის. ყმა, მონა ჩემგან ნასყიდი, ბედავს და ჩემ წინააღმდეგს ლაპარაკობს! აი საკვირველი! ეს ხომ იცი რომ თითონ შენი სიცოცხლეც მე მეკუთვნის?

— ეგ მართალი გახლავთ ქალბატონო, მოუგო ხირამ მშვიდობიანის ხმით, ჩემი სიცოცხლეც და ღონე, ჩემი სხეული, ჩემი შრომა, ერთის სიტყვით, ყველა ფერი, რაც კი ჩემს სიცოცხლეს შეუძლიან, ამისათვისაც ვიყიდნივარ და შენი საკუთრება გახლავარ, მაგრამ მე მრჩება სხვა საუნჯე, რომლის სყიდვა ვერა ოქროთი ვერ შეგიძლიან იყიდო; და ვერც შეგიძლიან ვერას გზით იშონო.

— მერე ეგ რა საუნჯე არის? სთქვი გიბძანებ! უთხრა მრისხანებით ფაბიოლლამ.

— ეს საუნჯე არის სული.

— სულიო? ხა! ხა! ხა! გაიხარხარა ფაბიოლლამ, იმას თავის დღეში ფიქრად არ მოსვლია, რომ მონას, თავის კარის პირუტყვს მოახლეს აქვს სული; სული უკვდავი. მერე შე უმგზავსო, გესმის რა არის სული?

— მე არ შემიძლიან ისე გამოვთქვა, როგორც გამოსთქვამს მსწავლული, ფილოსოფოსი, მიუგო ხი-

რამ, მაგრამ მე ასე მესმის, რომ ეს არის, შინაგანი ჩემი გრძნობა, ჩემი სვინიდისი, ჩემი აზრი, რომ მაქჳს იმედი უკეთესი ცხოვრება მივიღო სხჳა ქჳეყანაში, ვიდრე ამ ქჳეყანად. მე მრწამს, რომ ჩემში სუფევს ეს უკვდავი სული, რომელიცა არ მოკვდება ისე, როგორც სხეული კვდება, ეს შინაგანი გრძნობა არის, რომელიცა მეუბნება მძულდეს სიცრუე, მცბიერება, ტყუილი და მიფერება.

მეორე მოახლეები პირ ღია უყურებდნენ სირასა, და არ ესმოდათ, თუ რას ლაპარაკობდა. ისინი იდგნენ უძრავად, თუ როგორ გაბედა ასე შეუპოვრად ლაპარაკი სირამ ქალბატონთან. ფატიმალლას ხომ მეტის გაკვირვებით სიანჩხლე მოერივა. ბოლოს მოუთმენლივ უბძანა.

— ეგ სად გაგიგონია მაგისთანა სულელობა? ვინ გასწავლა აგრეთი მსწავლული ლაპარაკი, შენ უბერალო ჩემს მონას? მე ბევრი მისწავლია, ბევრი წამიკითხავს და დავრწმუნებულვარ, რომ რასაც შენ ამბობ, ეგ სულ სიცრუე არის, ვინც მაგ აზრებისა არის, მძულს როგორც უკანასკნელი პირუტყვი, იქნება ფიქრობ, მოუხეშავო ჩემო მონავ რომ შენ გაუზდელს და გაუნათლებელს, ჩემზედ მეტი გესმის; მეტი გესმის შენს ქალბატონზედ? იქნება გგონია, როდესაც მოკვდები და ჩავ-

ფულამენ სხუა მონებთან, შენ შეგრჩება გრძნობა და იმ გრძნობით სხუა უკეთეს ქუეყანაში?

— მოგახსენებ, მე არ მოვკვდები მეთქი. მე მრწამს, რომ მოვა მკვდართა აღდგომისა დღე და მაშინ ისეთი მონა აღარ ვიქნები შენი, როგორიც მონა ვარ ახლა. მაშინ ვიქნები არსება თავისუფალი, შენი თანასწორი. ესე იმედი ცხოვრებს ჩემს გულში, და მინახავს მე.

— ეგ სულელობა აღმოსავლეთის მხრის ხალხშია, ეგ ოცნება საქმეს და სამსახურს გაცდენს. რომელი ფილოსოფოსისაგან შეგისწავლებია ეგენი? მე ეგენი არსად წამიკითხავს, არც ბერძნულს, არც ლათინურს წიგნებში.

— შენ იქნება არ გესწავლოს, მაგრამ მე კი მისწავლია, ჩემს სამშობლოს ქუეყანაში, სადაც არ არის გარჩევა დიდისა და პატარას შორის, სადაცა ყველანი ძმანი არიან, და სადაცა ერთმანერთი ძმებივით უყვართ.

— როგორ? შეჰყვირა ფაბიოლლამ, გულს მოსულმა, განა შენა ფიქრობ რომ შენი თანასწორი არის ვინმე აქა! მე მგონია ამასაც იფიქრებ, რომ შენ ჩემზედ დიდი ხარ. სწორეთ მომახსენე ახლავე, განა რომ ამასაც ფიქრობ? სთქვი ჩქარა!

ფაბიოლლამ ეს რომ სთქუა, გაანჩხლებული წამოდგა კრაოტზედ და დაუწყო გამტერებით სირას ყურება, ის იყო აღელებული ამპარტავნებით.

— შენ ჩემზედ დიდი ბძანდები რასაკვირველია შთამამავლობით, სიმდიდრით, განათლებით, სილამაზით, ჭკუით, მაგრამ თუ სწორეთ მოგახსენებ....

სირა შედგა, თითქოს ვეღარა ბედავდა ეთქვა რამ, მაგრამ ფაბიოლლას ბძანებით ხმაზედ განაგრძელა:

— როგორც კაცნი და ერთი ღვთის გაჩენილნი, ერთნი კი ვართ...

ფაბიოლლას თვალები გაცეცხლდნენ, სიანჩხლემ ახლა კი ძრიელ დასძლია, იმან იგრძნო, რომ თავის სიცოცხლეში, ეს პირველი დამდაბლება იყო იმისათჳს. მერე ვინ დაამდაბლა? მონამ! იმან მაშინათვე აიღო ხანჯალი და სტყორცნა რაც ძალი ჰქონდა საცოდავს სირასა. ხანჯალი შეერჭო იღლიაში, საიდანაც ნიაღვარივით გადმოსდიოდა სისხლი. სირამ მეტის ტკივილისაგან, შექმნა ტირილი, სისხლი და ცრემლი შაერთნენ ერთად, ამ დროს ფაბიოლლა გონებაზედ მოვიდა; იმას შერცხვა, შერცხვა როგორც მოახლეებისა, ისე თავის თავისა, მაგრამ ის განებიერებული იყო, იმას არ ეგონა, თუ მონა, ისეთივე ადამიანი არის და ისე ეტკინება, როგორც თვითან,-ის მონებს პირუტყვათა სახავდა; მერე რომ დაფიქრდა, შეებრალა სირა, მაგრამ ისე კი არა, როგორც ადამიანი, იმას ისე შეებრალა, როგორც

დაკოდილი ძაღლი, ამისათჳს მიუბრუნდა და უთხრა და-
ჭყავებით სირასა:

— წადი და უთხარი ეფროსინეს, რომ შეგიხვიოს
დაჭრილი ალაგი, მე არ მინდოდა აგრე ძალიან და-
მეკოდე, მაგრამ მოიცა, მე უნდა გადაგიხადო, ფები-
ოლლამ აიღო სტოლითგან ძვირფასი ბეჭედი და მი-
აწოდა სირასა.

— ჰა, მიჩუქებია შენთჳს და დღეს საქმეს ნურას
გააკეთებ. სვინიდისი ფაბიოლლას დაუმშვიდდა, ამას
ეგონა, ამ საჩუქრით შეუბრალებას დაჰკარგავდა.

კვირას დღეს, ქრისტიანების ეკკლესიაში, რომე-
ლიცა აღშენებულიყო ქალაქის გარეთ მიყუდროებულს
და მივარდნილს ალაგს, სხჳათა შეწირულთა შორის,
სასარგებლოთ ღარიბ ქრისტიანებისა, იყო ძვირფასი
ბეჭედი, ბრილიანტებით მოჭედილი. მოხუცებულმა
მღვდელმა პოლიკარპიმ იფიქრა, რომ ეს ბეჭედი საი-
დუმლოთ შემოუწირავს მდიდარს ვისმეს, რომელიცა
შიშით, აღვიარებს ჩუმად ქრისტიანობრივ სარწმუნოე-
ბასაო. მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცოდა, რომ ეს
ძვირფასი შესაწირავი იყო მორთმეული იმასაგან, ვი-
საცა ახვეული ჰქონდა დაჭრილი იღლია.

როდესაც სირა დაკოდა ხანჯლით ფაბიოლლამ, იმ დროს ჩუმათ შევიდა ვიღაცა ახალგაზდა სტუმარი იმის ოთახში. რომაელების მოსასვენებელი ოთახები არაოდეს არ იკეტებოდა, იმას ეფარნენ ძვირფასი ფარდები, სტუმარი ისე შევიდოდა ხოლმე, რომ ვერავინ შენიშნავდა. ფაბიოლლამ სრულებით ვერ შენიშნა ეს, რადგანაც მეტის სიანჩხლისაგან გულს მოსული იყო, როდესაც სირა, დაჭრილი გამოდიოდა ტირილით კარებში, გზაზედ შეეფეთა უცებ ეს ახალგაზდა ლამაზი სტუმარი ქალი, მრთლათ გაყვითლებული მწუხარებისაგან, რომელსაცა ერქვა აგნესა. ის იყო თოთხმეტის წლისა. იმას ტანთ ეცვა, თეთრი უბრალო სუფთა კაბა, ზედ არაფრისთანა ნივთეულება არა ჰქონდარა. სახეს ეტყობოდა სიმშვიდე, თვალები მიუგვანდნენ მტრედის თვალებსა. ახლაც კი არის იმის პორტრეთი რომის მუზეუმში, სადაცა მგზავრმა რომ ნახოს ანგელოზი ეგონება, ცის ფერი თვალები ჰქონდა ნაზი, მქრალი, ოქრომკედის ფერი თმები, აგნესა იყო ერთად ერთი შვილი რომის ქალაქის ერთის დიდის კაცისა, ძალიან მდიდრისა, და ფაბიოლლას მოხვდებოდა ბიძაშვილად. თუმცა ხნით პატარა იყო აგნესა ფაბიოლლაზედ, მაგრამ ამ ფაბიოლლას მეტად უყვარდა აგნესსა, ზემო

ვთქვით რომ ფაბიოლლას უყვარდა ბძანებლობა, მედიდურობა მხოლოდ ორნი იყვნენ, რომელთაცა შეემლოთ იმისი ხასიეთები დაემშვიდებინათ; ეს ორნი იყვნენ, ერთი ეფროზინა და მეორე აგნესა. ფაბიოლლა ისეთის ხასიეთებისა იყო, რომ იმან სიყვარული არ იცოდა და თუ შეიყვარებდა ვისმეს, ძრიელ შეიყვარებდა; ასე ძრიელ უყვარდა აგნესაც.

— მომიცადე ემანდ გარეთ, — წაუჩურჩულა აგნესამ სირას, როდესაც ტირილით გადიოდა გარეთ. —

— როგორ მიამა, რომ მოხვედი ახლა, საყვარელო აგნესა, უთხრა ფაბიოლლამ. იმედი მაქვს ვახშამათაც ჩემთან დარჩები, მამა ჩემს ამაღამ ორი ვიღაცა უცხო ქუეყნელი სტუმარი ჰყავს და მე უნდა დაუხვდე. ძრიელ გამეხარდა, რომ ამაღამ მე და შენ იმათ ერთად მივიღებთ. იმ სტუმრებთაგანში ერთი არის, რომელსაცა ჰქვიან ფულვი და რომლის სიმდიდრეზედაც ლაპარაკობენ მთელს რომში, თუმცა არა ვინ იცის ვინ არის და სადაური? ოჰ! რა მადლობელი ვარ, რომ მოხვედი.

— მადლობად არა ღირს საყვარელო ფაბიოლლა, მიუგო აგნესამ, მე ყოველთჳს მზათა ვარ, როდესაც ჩემი სახლობა შენთან მოსვლის ნებას მაძლევს.

— რა არისო, სულო აგრე უბრალო თეთრი კაბა გაცვია და ზედ კაცი შენზედ სამკაულს ვერა ნახავს თავის დღეში. ან ბეჭდებს რატომ არ იცომ, მეწკვს და ან სხვას. მაგრამ, მაგას რას ვხედავ! შეჰყვირა უცებ ფაბიოლლამ, ეგ კაბაზედ რა გცხია წითლად? ეგ ხომ სისხლია? სწორეთ სისხლია; წადი, წადი საყვარელო ტანთ გამოიცვალე; ახლავე უბძანებ მოკიტანონ ჩემი ტანისამოსი.

— საჭირო არ არის, უთხრა აგნესამ, მართალია, ეს სისხლია და ეს სისხლი არის ერთის საცოდავის ტყვე დედაკაცისა, მაგრამ ის დედაკაცი ჩემ თვალში უფრო კეთილშობილი და წმინდა სისხლის პატრონია, მინამ მე და შენ, ფაბიოლლა მიხვდა, რომ აგნესას დაენახა, თუ როგორ დასჭრა ხანჯლით სირა, რომელსაცა კარებში რომ გაევლო, სისხლი მოხვედროდა აგნესასა. იმას მაშინვე შარცხვა თავის თავისა, მაგრამ არად გამოიჩინა და უპასუხა.

— შენ უთუოდა გსურს ქრისტიანაში გამამტყუნო ჩემს ხასიათებზედ და გამოუცხადო ყველას, რომ ძალიან სასტიკად დავსაჯე შეუპოვარი ჩემი ტყვე მონა?

— არაოდეს, მხოლოდ ეს შებასრული სისხლით ჩემი კაბა უნდა მე ვნახო, სახსოვრად, თუ როგორი

შეურაცხება მიგიყენებია საცოდავის დედაკაცისათჳს, იმ პატიოსანმა დედაკაცმა მაჩვენა მაგალითი, თუ როგორ დაუყვედრებლივ უნდა აიტანოს კაცმა ყველასაგან დაბრიყვება.

— სადაური ფიქრი გაქუს აგნესა, მე ისე მეგონე, როგორცა ჭკვიანს ქალს, საზიზღრად მიგაჩნდა ის პირუტყვი მონები. ვინ არიან ისინი, რაო?

— ისინი ისეთნივე ადამიანები არიან, როგორიც ჩუენა ვართ, უპასუხა აგნესამ; იმისთანავე გონება აქუთ, გრძნობა და იქნება უკეთესიც როგორც მე და შენ. რომელმა ღმერთმაც ჩუენ მოგვცა სიცოცხლე იმავე ღმერთმა იმათაც მისცა, რომ ის ღმერთი მამა არის ჩუენი, მაშ იმისაგან გაჩენილნი, თუნდა მონა იყოს, ჩუენი ძმა და დანი არიან.

— რაო, მონა ჩემი ძმა არისო! ჩემი დაო! შეჰყვირა გაკვირვებით ფაბიოლლამ. ის ჭიაღუები, ჩუენი საკუთრებანი არიან, ისინი უნდა ფიქრობდნენ იმას, და იმას აკეთებდნენ, რაც ჩუენ გვესიამოვნება.

— კარგია ერთი საყვარელო ფაბიოლლა, უთხრა მშვიდობიანის ხმით აგნესამ, თანახმა შეიქმენ, რომ დღეს იმ უბრალო დედაკაცმა, როგორც შენა ხახავ, ისეთი სულის სიმტკიცე, ისეთი მოთმინება, ისეთი ღირ-

სჯება გამოიჩინა, რომ მარტო ამითი დგას შენზედ მადლა. ნუღარას მიპასუხებ ამაზედ, შენის სახის მეტყველებითგანა სჩანს, რომ თანახმა ხარ ამაზედ, მაგრამ არ გინდა გამოტყდე. არ მინდა რომ ამ გვარი შემთხვევა კიდევ მოგცეს, გთხოვ ღმრთის ვედრებით თუ გიყვარვარ, ასრულე ჩემი თხოვნა.

— სუყველას აღვასრულებ, რაც კი გსურს. ვარგათ იცი შენთჳს უარი არაფერში მითქომს.

— მაშ თუ უარს არ მეტყვი ახლაც, მომეიდე მე სირა, ხომ იცი, აბა ახლა, რაღა სასიამოვნო უნდა იყოს, იმისი აქ ყოფნა.

— ვერ შემიძლიან აგნესა, ახლა მე მინდა დავამარცხო ჩემი ამპარტავნების გრძნობა, ახლა რაღასაცა ვგრძნობ, რომლის გამოთქმა არ შემიძლიან.

— ჩემთან ის ბედნიერი იქნება, —ატანდა მალას აგნესა.

— რასაკვრელია, მიუგო ფაბიოლლამ, ვინ იქნება უბედური შენს კელში? ვინც შენთან არიან, ყველანი ბედნიერნი არიან, ეგ განსაკუთრებით, ნიჯია, მე არ მინახავს იმისთანა სახლობა, რაც შენი სახლობაა. თქუჱნ ყველანი, რაღაცა უცნაურს ჴსწავლას ადგიხართ ღ არა გაქუსთ გარჩევა ყმისა ღ პატრონის შორის, მაგისათჳს

არცა მგონია თქუენი მონები ისე გემსახურებოდნენ, როგორც ჩუენ გვემსახურებიან, აქ ისე ეშინიანთ, რომ უბძანებოთ ყველა რიგზედ კეთდება. საკვირველია თქუენი საქმე, თქუენ ისეთის მშვიდობიანის გულის პატრონები ხართ, რომ ქრისტიანები იყვნეთ და მთავრობამ დასასჯელად მძვინვარე ლომებს და ფოცხვერებს მიგიყაროს; ისინიც შეკრთებიან და ჴელს ვერ გახლებენ, რაზედ მიყურებ აგრე თვალ დაკვირვებით და მწუხარეთ?

— ეგ რომ სწორედ აგრე ყოფილიყო და ლომებს გავეწეწნე, ძრიელ სასიამოვნო იქნებოდა ჩემთჳს, ოღონდ კი სირა გვერდზედ მყოლოდა.

— კარგი აგნესა, გეფიცები, გეხუმრებოდი, მინდოდა შემეშინებინა შენთჳს, რაც შეეხება სირას, ის კი მართალია, ის თავის თავს მისცემს გაბედვით მსხვერპლად თჳთ მძვინვარე მხეცებსა, ისეთი შეუპოვარია. შარშან შესაყარი სახადი გამოჩნდა; ყველა მონები მერიდებოდნენ, მაგრამ სირა გვერდითგან არ მომშორებია, ისეთი უშიშარია, მაგრამ ძალიან დავალებული კი ვარ იმისაგან.

— მარტო მაგისათჳს მაინც უნდა გყვარებოდა, ჩემო ფაბიოლლავ.

— როგორაო? მყვარებოდა? ვინა? განა ეგ შეიძლება? რა ყმაწვილი ყოფილხარ ჯერ კიდევ! მე ის დავსაჩუქრე, ფულები ვაჩუქე, კარგად ჩავაცვი და დავხურე. სხუა მოახლები ჩემი მარწმუნებენ, რომ არაფრისთანა არა აბადიარაო, მართლად და, საკვირველია, თუ რას უშვრება; შავი დღისათჳს ცალი ფული არა აქჳს. ზოგნი მეუბნებიან, ვითომც რაც საჭმელი და სასმელი გააქჳს თავისათჳს სადილათ, ერთი ვიღაც ბრმა გოგო იარება იმასთან, თავის წილს იმას აჭმევს, ასმევს და თჳთან კი მშიერი დგება. აი, ასეთი სულელია ის ჩემი მონა სირა.

— მომეცი მე სირა, უთხრა აგნესამ! მე ვერ შემოგევაჭრები, აკი მითხარი, რასაც მეტყვი აგისრულებო. მომეცი მე, ფასი რამდენიც გინდა დასდევი, მომცემი ვარ.

— კარგია, მე არ შემიძლიან უარი გითხრა და არც შემოგევაჭრო, ხვალ გამოგზავნე თქუენი მოურავი მამა ჩემთან და ისინი მორიგდებიან. ახლა შევიდეთ მამა ჩემთან, ის სტუმრებს მოელის.

— მგონი შენ დაგავიწყდა ბეჭდები, ყელზედ მწკვი და შენი ძვირფასი სამკაულები.

— სულ ერთია, არა უშავსრა, დღეს როგორღაც ვერა ვარ გუნებაზედ.

# III

როდესაც ფაბიოლლა და აგნესა შევიდნენ, ფაბიას სადგომში, იქ სტუმრები კიდეც შეყრილნი იყვნენ, ეს სტუმრებიც იყვნენ სულ მცნობნი და მეგობრები მას-მინძელისა. იმას აღარ ვიტყვი, თუ მდიდრულად მორ-თულს სასახლეში, როგორი სუფრა იყო კაზმილი. ფაბიოლლას მამას უყვარდა კარგი ჭამა სმა, და ფულს უხვათა ხარჯავდა ამაზედ, როდესაც ქალები შევიდნენ სასტუმროში, ფაბიამ დაჰკოცნა ქალი და საყვედური მისცა, თუ რატომ არ იყო ძვირფასის თვალ მარგალიტით მორთული. ფაბიოლლა გაწითლდა და არ იცოდა რა ეთქუა. იმას კიდევ შერცხვა, რომ სიანჩხლემ იქამდინ მიაღწევინა, რომ დასჯრა თავისი მონა და სიკაშასით სამკაულისა აღარა სცხელოდა. აგნესამ, თავისის კეთი-ლის გულის თვისებით ფაბიოლლამ მამის საყვედურ-ზედ, და უთხრა. რადგანც მეც უბრალო ტანისამოსით მოვედი და უსამართლოთ, ჩემის გულისათჳს ესეც ასე

მოვიდაო. ასლა საჭირო არის გავაცნო მკითხველებს თუ ვინ იყვნენ სტუმრები, ერთი იყო, რომში განთქმული ნასწავლი კაცი, კალპურნია; კაცი მძიმე ხასიათებისა და შემაბეზრებელი. ის იყო სქელი, მაღალი, და კისერ მოკლე. ამ გვარი დაბალი კისერი და სქელი წარმოუდგენს კაცსა ჴელ ღონიერსა, მაგრამ უჭკუოს პირუტყვის მგზავრსა; მეორე სტუმარი იყო პროკულდო, ის იდგა ფაბიას სახლში და უყვარდა ტკბილად ჭამა და სმა; ამ ორთა გარდა სხვანიცა იყვნენ შესანიშნავი სტუმრები; იმათ შორის ბრწყინავდა მშვენიერებით და ნიჭიერებით ყმაწვილი ოფიცერი, იმპერატორის ღვარდიისა, იმას ერქვა სებასტიანე, რომელიცა იყო მახლობელი მეგობარი აგნესას და ფაბიოლლას სახლობისა, ის ჯერ კიდევ ვერ იყო ოცდა ათის წლისა, მაგრამ დიდ წარმატებას და ამაღლებას მიელოდა. ის იყო დიდი საყვარელი ორივე იმპერატორისა, დიოკლიტიანესი, რომელიცა იმპერატორობდა აღმოსავლეთის ქუეყნებისკენ და მაქსიმიანისა, რომელიცა იჯდა იმპერატორად რომის ქალაქში; რასაკვირველია სებასტიანე, ორთა იმპერატორთ წყალობის ჴელში, თავის დროზედ დიდს ალაგს დაიჭერდა. იმას ეცვა უბრალოთ, მაგრამ სუფთად, იყო ყველასთან თავმდაბალი, ლაპარაკი ჰქონდა დამჯდარი,

ჭკვიანური, კოხტური და მიმზიდველი. ყველას უყვარდა იმასთან ლაპარაკი, ყველასა სურდა ყური ეგდოთ იმისის ტკბილის საუბარისათვს.

სებისტიანე იყო, მრთელი რომის ყმაწვილი კაცების ჩირაღი. ის იყო განთქმული როგორც მოწყალე ყმაწვილი კაცი, იყო კეთილშობილურის სულისა, ვაჟკაცი და პატიოსნის ხასიეთებისა; იმის რიგზედ იჯდა, რომის საზოგადოების მეორე თვალი, ლამაზი ფულვია, რომელზედაც ფაბიოლლა ელაპარაკებოდა ხოლმე აგნესას, როგორც ამის საქრმოზედ. ის იყო ყმაწვილი კაცი, ეცო კოხტად, ლაპარაკობდა თავაზიანათ, უქცევდა ენას, რადგანც რომულად კარგად ვერ ახერხებდა ლაპარაკსა, მაგრამ იმის ლაპარაკითგან გამოშეტყველებდა მცბიერება. თითებზედ ეცვა ბლომათ ბეჭდები, ტანზედაც სადაც კი შეიძლებოდა მვირფასი ნივთები ჰქონდა ასხმული, რომლით ამტკიცებდა, რომ ის ტანისამოს უფრო მისდევდა, მინამ სხჳას. ის დიდი ხანი არ იყო მოსულიყო რომში, ერთის ბებრის მოსამსახურის სანაბარას, რომელიცა მრიელ მიჩნეული ჰყვანდა ბატონს. არ ვინ იცოდა თუ საიდან იყო ეს ფულვია, არც მსახურისა, რომელიცა განუშორებლივ თან დასდევდა ყველგან.

როდესაც ფულვია რომში მოვიდა, დაიქირავა სახლი, რომელიცა გააწყო ძვირფა ად და შეკრიბა მოსამსახურემლების მრთელი გროვა. იმას ძრიელ უყვარდა ფულის დაბნევა და გულით უნდოდა ყველას ეთქვა, რომ ვითომც ის მდიდარი იყო. იმისმა სილამაზემ, მდიდრულ ცხოვრებამ, მიხრა მოხრამ და ლაპარაკმა მიიზიდეს მრთელი რომის საზოგადოება. რომი მაშინ ისეთს გარყვნილს მდგომარეობაში იყო, რომ ამ გვარს კაცს ძრიელ ეტანებოდნენ. იმისაგან ყველანი მადრიელს იყვნენ. იმპერატორმაც კი მიიღო ფულვი მოწყალის თვალით და მეტი რაღა უნდოდა. რომში გამოჩენილნი ყველანი ცდილობდნენ გაეცნოთ ფულვია.

ფულვიას ლამაზი სახე, ზოგჯერ არ იყო სასიამოვნო სანასავი, როდესაც შეიჭმუხნებოდა რაზედმე.

ყველანი დასხდნენ სადილზედ, იმ დროებაში ხმარობდნენ ტახტებსაც, რომელზედაც სადილის დროს ნახევარზედ წამოწოლილნი იყვნენ, მინამ სადილი გათავდებოდა და ქალები კი ისხდნენ. ფაბიოლლა და აგნესა ერთად დასხდნენ. სებასტიანე და ფულვია წამოწვნენ პირ და პირ სუფრისა, სახლის პატრონი, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ უსხდნენ ორნი სტუმარნი, იჯდა სუფრის თავზედ.

როდესაც სტუმრები დაბმანდნენ, დაიწყეს საუბარი.

დღეს რას ლაპარაკობდნენ ახალსა ანბავსა, ბაზოებში? ჰკითხა კალპუნიმ; მე კარგათ იცით იქა არ ვიარები, იმდენი დრო არა მაქვს, იმისთანა უსარგებლოს ალაგებში ვიარო, იმდენი მსწავლული საქმეები მაქვს.

— ძალიან ანბავები ისმის. ღვთაებრივმა დიოკლიტიანემ, ჩვენმა იმპერატორმა ბძანა, რომ ახალი სასახლე სამს წელიწადს უთუოდ უნდა შესრულდესო.

— არ შეიძლებაო წამოიძახა ფაბიამ, დღეს დილით გავიარე სალიუსტიას ბაღებისაკენ ᲓᲐ ვნახე რა შენობა, გარწმუნებ მალე ვერ შესრულდება, ჯერ მარმარილოს ქვებიც არ არის გათლილი. ადვილი გგონიათ?

— ეგ მართალია, შენიშნა ფულვიამ, მაგრამ მე ვიცი, რომ ბძანება გაიგზავნა მრთელს იმპერიაში, რაც რამ ქრისტიანები არიან, დაბარებულნი არიან სამუშაოთ უფასოთ.

— ნეტა რათა ხმარობენ სამუშაოთ ქრისტიანებსა? ჰკითხა ფაბიოლლამ.

— სწორეთ მოგახსენოთ ეგ არ ვიცი, მიუგო ფულვიამ, რა გაეღიმა ᲓᲐ ამ ღიმილში დაანახვა თეთრად ბრწყინვალე კბილები, მაგრამ ამას კი მოგახსენებ,

ათასნი დამნაშავენი რომ იყვნენ, მაშინვე იმათში ვინც ქრისტიანები არიან ერთის შეხედვით ვიცნობ.

— როგორ? ჰკითხეს ყველა იქ მყოფთა.

— რომელიც დამნაშავენი არიან, ისინი ისე ბეჯითად ვერა მუშაობენ, როგორ ქრისტიანები. დამნაშავენი ვერ მუშაობენ, თუ რომ მალმალ ჯოხით არა სცემეს, მაგრამ ქრისტიანები თავჩაღუნულნი მუშაობენ, რომელნიც არიან და მუშაობენ, სულ იგინებიან, ქრისტიანები კი არიან მშვიდობიანნი და შრომის მოყვარენი. მე ვნახე აზიაში, ჩემის თვალებით, ემაწვილი კაცები, მდიდრები, დიდი კაცის შვილები; განებიერებულები დედმამისაგან, ისინი მთავრობამ დაიჭირა, რადგანც ქრისტიანები იყვნენ და სიკვდილამდინ დაკარგეს სამუშაო მადანებში, როგორც დიდი დამნაშავენი. არ დაიჯერებთ, იმათ როდესაც სამუშაოთ გამოიყვანდნენ, იმ განებიერებულ დიდ კაცის შვილებს და მდიდრებს, თავიანთ ნაზის და თეთრის ჴელებით ისე ბეჯითად და მშვიდად მუშაობდნენ, რომ კაცს გაუკვირდებოდა. მაინც კი თავს მდგომი ხშირათა სცემდა სახრეებით, რადგანც ბძანება ისე ჰქონდა მიცემული; თჳთან ღუთაებრივმა ჩუტნმა იმპერატორმა, უბძანა, ისე სცემეთ ქრისტიანებს, როგორც პირუტყვებსაო. საკვირველი ეს იყო, ამ საშინელს ტანჯვას ქრისტიანები მოთმინებით იტანდნენ.

— ნეტავი შემატყობინა, თუ რა არის მიზეზი, რომ იმათი სულელური თჳსება იტანს ამდენს შეურაც-ხებასა? იკითხა ფაბიოლლამ.

— ეგ უნდა ჰკითხოთ კალპურნიას, რადგანც მსწავ-ლული კაცია, შამოიძახა პროკულლომ, ეგ ფილოსო-ფოსია და ყველა უკეთ იცის.

კალპურნი ვერ მიხვდა რომ პროკულლომ მასხა-რათ აიგდო ისა.

— ქრისტიანები ეკუთვნიან იმ სეკტას, რომელი-ცა აღმოჩნდა რამდენიმე საუკუნეს წინათ სალდეიაში, რომში კი ეს სეკტა, ანუ სარწმუნოება შემოიტანეს ორმა ძმებმა, პეტრემ და პავლემ, ვესპარიანეს იმპერა-ტორობის დროსა. ბევრნი გვარწმუნებენ, რომ პეტრე და პავლე ყოფილან ტყუპად დაბადებულნი ძმები; ზოგ-ნი ფიქრობენ, ვითომც ებრაელნი უწოდებდნენ ამ ორთა ძმათა ერთს მოისეის და მეორეს აარონსა. ერთმა თა-ვის უფროსობა გაყიდა, გაყიდა მეორე ძმაზედ ერთ თხაზედ; რომლის ტყავითგან შეიკერა თავისთჳს სამკ-ლაური, მაგრამ მე კი არა მჯერა, რადგანც დამტკი-ცებულია, რომ უნცროსმა, რომლისათჳს, მაკედონის მეფემ მარლოხაიმ ჩამოახრჩობინა. როგორც უნდა ყო-ფილიყო, სულ ერთია, ერთის სიტყვით ის ორნი ძმანი

მოვიდნენ რომშ; ერთს ამტყუნებდნენ იმასში, რომ ის ყოფილიყო პონტი პილატეს ყმა, რომლისათჳსაც მელ-ზედ ააკრეს და ისე მოკლეს, ეს მელი ჯვარედინათ გა-კეთებული ქრისტიანებს დიდ რამედ მიაჩნდათ და იმას თაყვანსა სცემენ ეხლაცა. ქრისტიანებს ცემა დიდად პატივად მიაჩნიათ და სიკვდილი დიდ ბედნიერებად; ისინი ფიქრობენ, ვითომც რომ მოკვდებიან, იქ სადღაცა სხუა ქუეყანაში ერთად შეიყრებიან და უკეთ იცხოვრებენ.

ამ რაღაცა გონების დამაბნევებელს ანბავს, ყველანი პირ დაღებულები უყურებდნენ. იმათ არ ეგონათ რი-გიანად ის ანბავი, რომელიცა ანბავი ღირსი იყო მო-წიწებით პატივის ცემისა. კალპურნიამ ვერ უანბო ისე ქრისტიანების ანბავი, როგორც იყო, ან რაში ამტყუ-ნებდნენ იმ ხალხს ტყუილ უბრალოთ, ამისათჳს რომ თითონ ის კერპთ თაყვანის მცემელი იყო და რასაც სენაკლას იქადოდა, ის სწავლა არა ჰქონდა.

ამ არეულ-დარეულ, უთავბოლო ანბავს ყველანი ისმენდნენ ყურადღებით და ყველაში სიძულული დაბადა ქრისტიანებზედ, ერთი ყმაწვილი კაცის ოფიცრის გარ-და, რომელმაცა გულის საკვდავად შეხედა აგნესასა, ის აგნესა იჯდა გარინდებული და მწუხარის სახით, როცა კალპურნია ლაპარაკობდა ქრისტიანებზედ; თითქოს აგ-

ნესა ⁊ ის უმაწვილი აფიცარი, ერთმანერთს ანიშნებ-დნენ, რომ იმ ლაპარაკში არ გარეულიყვნენ ⁊ ჩუმათ ყოფილიყვნენ, მხოლოდ სახე გაუწითლდათ თითქმის სიანჩხლითა,

— ახლა ხომ შეიტყეთ, განაგრძელა პროკულდომ, რომ სასახლეს მალე ააშენებენ, ხუმრობა არ არის მრთელის იმპერატრითგან ქრისტიანების მორეკა ⁊ იმა-თი მუშაობა ღვთავებრივი. ჩუჱნი დიოკლიტიანე კეისა-რი, ქურუმები რომ აკურთხებდნენ, არ დაესწრობა იქა?

— რასაკვირველია დაესწრობა ⁊ დიდი დღესას-წაულიც ექნება იმ დღეს, უპასუხა ფულვიამ. მე ვიცი, რომ კეისარს ბძანება აქჳს მიცემული, შეიპყრონ მძვინ-ვარე ლომები, ფოცხვრები ⁊ სხჳა მტაცებელი პირუტყ-ვები იმ სადღესასწაულო დღისათჳს, ესენი უნდა იმ დღეს გამოიყვანონ ამფიტიატრში, გაუშონ ⁊ მიუსიონ იმ დამნაშავეთა, რომელნიცა არიან მტრები დიდის იმ-პერატორისა. შენ რას იტყვი სებასტიანე, კარგი სანა-ხავი არ იქნება ეს ანბავი ⁊ კარგი სასიამოვნო!

სებასტიანე წამოჯდა ტახტზედ, მიუბრუნდა თავის მეზობელს სტუმარსა, შეხედა პირში თავის ბრწყინვა-ლე თვალებით ⁊ უთხრა.

— რასაც შენ ანბობ, ისეთი სასიამოვნო სანახავი არ არის, როგორც შენა ფიქრობ. აბა წარმოიდგინე

კარგათ ‍და დაუფიქრდი შენს გონებას, თუ რა გულის გასაგლეჯი სანახავი უნდა იყოს, როდესაც დედამას წვრილის შვილებით, უიარაღოს, მფარველობის მოკლებულთ, მიუყრიან დიდს მეიდანზედ მძვინვარე მხეცებს? ამ გვარი საშინელი სანახაობა კეთილშობილობა და პატიოსნობა არ არის. მე მხათა ვარ, ჩემის იმპერატორისათჳს, ხრმლით ვეომო იმის მტრებსა, მაგრამ იმას კი ვერა ვიქ, უიარაღოს, დაუცველს და უიმედო ადამიანებ, რომელნიცა არას აშავებენ, უყურო გულ გაციებით.

ფულვიას უნდა ეთქჳა სებასტიანესათჳს პასუხი, მაგრამ სებასტიანემ რა დაადვა თავისი მშვენიერი კელი მხარზედ, ფულვიასა, განაგრძელა:

— მომისმინე ბოლომდინ. მე არც რომაელებში პირველი ვარ და არც უკანასკნელი იმათში, ვინც აგრე ფიქრობენ. მოიგონე ციცერონის სიტყვები, რომელიცა ანბობს «ეს თამაშობა მრიელ მდიდრული რამ არის, მაგრამ რა სიამოვნება უნდა ნახოს კაცმა იქ, სადაცა მხთალ და უმანკო ადამიანებს პირუტყვებს აწეწინებენო,» მე არა მრცხვენიან ამაზედ, რომ თჳთან მეც იმ დიდის ფილოსოფოსის აზრისა ვარ.

— მაშ თავის დღეში ვერა გნახავთ შენ ამფიტეატრში; უთხრა ტკბილის ხმით ფულვიამ, რომლის სიტყვებს ეტყობოდა პირფერობა და მცბიერება.

თუ რომ მნახავ ამფიტეატრში, გარწმუნებ სუსტ და მართალთ ადამიანების მხრივ ვიქნები და არა იმ პირუტყვების მხარეზედ, რომელნიცა შეუბრალებლად სწეწამენ, ჩუენისთანა სუსტ არსებასა.

— ეგ მამეწონა სებასტიანე, წამოიძახა ფაბიოლამ და შემოჰკრა ტაშსა, თითქოს რაღაცა შინაურმა გულის სიჩვილის გრძნობამ დასძლიაო. როდესაც სებასტიანე ლაპარაკობს, თითქოს გამოსთქვამს კეთილშობილურს და სულგრძელების გრძნობასაო.

ფულვია გაჩუმდა. ამ დროს ყველანი ადგნენ სუფრითგან, გამოეთხოვნენ ერთმანერთსა და წავიდ-წამოვიდნენ.

ზოგი შემდეგში იქნება.

ვით ფარვანა შენს სამთლის შუქს,
დასტრიალებს, მას ევლება;
ისე გული მისებრ შენს შუქს,
გევლება, თავს გემკვლელება!

როს აღარ სჩანს შუქი შენი.
მიბნელდება არე მარე;
ვსტირ და ვოხრავ ცრემლთა მდენი,
მას დროს სდგება შუქით მთვარე.

რა შევხედამ მიკრამს თავსა,
შუქით ატკბობ ამ ჩემს გულსა,
აღარა ვარ გულ-მდუღარე,
უხარის მრთლად გულს და სულსა.

მაშ, როგორც სჩან, თავს გევლები;
გულ ამოსკჳნით გემკვლელები;
მაშ მოდი სცან, ესე გული შენგნით დამწვარ დადაგული!

კონსტანტინე ბერძენოვი-კობალაძე.

## სპარსეთში შიმშილი.

ეს იყო ფებერვლის თვეში **1872** წელსა. მქრალი მზე ისის იყო დაადგა ახლად დათოვლილს დედამიწასა. მეჩითების გუნბათებს რა შეადგა ამ მქრალი მზის სხივი, იმ დროს უსტა პეტრუსა გამოვიდა თავის სახლითგან, რომელიცა მდებარეობდა ჯულფინის კვარტალში, და შეუდგა ბაზარსა.

მკაცრი დილის სიცივე, რომელიცა დაჰყვა იმ ღამის ყინვას სრულებით ვერ მოქმედებდა ამ კაცზედ, თუმცა ის იყო დაბარდნული ძველის და უმგზავსოს ტანსაცმელითა. იმისი აზრები და ჭკუა იყვნენ შებმულნი უმაღლესს ხარისხამდინ; იმისი მწუხარე ფიქრები გატაცებული იყო იმ საგანზედ, რომლიდგანაც წარმოდგებოდა სიცოცხლე თავის თავისა და იმისის ცოლ-შვილისა. ეს საგანი იყო-პური.

ის მიდიოდა ზარმაცად და არა მტკიცის ნაბიჯით. ყველანი ტანის სახსარნი დაუდუნდნენ...ეს მეორე დღე იყო, იმის პირში ერთი ლუკმა პური არ ჩასულიყო.

შესაწუხარის და საშინელის გარშემო ხალხის ტირილისა და ჩივილის მეტი იმას სრულებით არა ესმოდარა,ის ხედავდა თუ როგორ მიჰქონდათ ქუჩებში მკვდრები, შიმშილისაგან მიცვალებულნი დასამარხავად; ის ხედავდა აქა-იქ ქუჩებში წაქცეულ მკვდრებს შიმშილისაგან, იმ ღამის თოვლს იმ მკვდრებზედ ისე დაეთოვლა, რომ თითქოს თეთრი სამოსელი ვისმეს გადაეფარებინაო.

ეს იყო იმ დროს, როდესაც იყო შიმშილი სპარსეთში და აგრეთვე სხვა და სხვა ქალაქებში, სოფლებში, სადაც ის სასტიკი შიმშილი შეუბრალებლად უსვამდა სიკვდილის ჯოჯოხეთურსა ცელსა.

იმ დღეს დილით პეტრუსამ გაიგონა ცოლისაგან თავის ზარ დასაცემი სიტყვა: სხვა არაფერი აღარა გვრჩებარა... ყველა გავყიდეთ, რაცკი რამ გვებადა სახლში, აი ეს ერთი ბეჭედიღა მაქვს, წაიღე ღვთის გულისათვის ჩქარა და იყიდე რამე, თორემ უმაწვილი გვიკვდება შიმშილითაო.

მთრთოლვარის ხელით იმან გამოართო თავის ცოლს ბეჭედი, რომელიცა შენახული ჰქონდა როგორც წმინდა საღმრთო ცოლქმობის კავშირის ნიშანი და გამოვარდა კრიავით გარეთ. იმას მიჰქონდა ეს ძვირფასი უნჯი,

სახსოვარი თავისის პირველ სიყვარულისა და სულს უპუბებდა განუზომელი მწუხარება, ამას გარდა შიმშილისაგან იყო გამწარებული, გზაზედ, მუხლების ყუათი სრულებით გამოელია; ის დაეცა ერთის დაკეტილის დუქნის წინ და დაიწყო ტირილი, მაგრამ ცრემლებიკი არ მოსდიოდნენ, ცრემლი დიდი ხანია შეუშრო განუზომელმა გულის მწუხარების ცეცხლმა.

— უსტა პეტრუს? შემოესმა იმას ხმა და როდესაც აიხედა, იცნო თავისი მცნობი, ერთი მდიდარი თათარი ჰაჯი ქარიმი.

— რა დაგმართვია? ჰკითხა ყიზილბაშმა.

— რაღა რა დამმართვია, მიუგო პეტრუსამ, აგერ რამდენიმე დღე იქნება ლუკმა პური არ გვიჭამია, ძვირფასო ჰაჯი, ყმაწვილი გვიკვდება შიმშილით. ღვთის გულისათჳს, გამომართვი ეს ნივთი და მომეცი ფული რაც შეიძლებოდეს, იქნება როგორმე ვიშოვნო და ვიყიდო პური.

ჰაჯი ქარიმმა გამოართვა ოქროს ბეჭედი, რომელშიაც იჯდა წითლათ ბრწყინვალე ლალი, გასინჯა და ჰკითხა.

— რამდენი უნდა მოგცე ამაში?

— მომეცი ის, რაც შენმა სვინიდისმა გასჭრას; თუნდა რამდენიც შენი ნება იყოს, ოღონდ ჩქარა.

ჴაჯიმ მისცა ერთი თუმანი ვერცხლის ფული. უსტა პეტრუსამ ისე გამოართო, რომ არცკი დაუთვლია და გასწია ბარბაცით. ეს ბეჭედი იმ საწყალს ეყიდნა ერთის ურიისაგან ათ თუმნათ, თავის ნიშნობისათჳს. რა გული შეიმაგრა, სიარულს მოუმატა გაბედვით და მიუახლოვდა ერთის მეპურის დუქანსა, სადაცა მიხვეულიყო დიდ ძალი ხალხი. ამ დუქნის კარები მაგარის კლიტით დაკეტილი იყო, ერთი პატარა ფანჩატური ჰქონდა, რომელშიაც მსყიდველნი კელსა ჰყოფდნენ, ფულს აძლევდნენ და თითო პურს ყიდულობდნენ. დიდი თავში ცემა იყო, ყველა ცდილობდა მალე ეყიდნათ შიმშილი რომ აწუხებდათ და კელს აწვდენდნენ, ზოგსა ჰკრავდნენ კელს, ზოგი რას სჩადიოდა და ერთი დიდი ხმაურობა იყო.

დიდის წვალებით შეერია პეტრუსა ამ მსყიდველს ხალხში, მიახლოვდა პატარა ფანჩატურს და რა გაუწოდა ფული, სთხოვდა პურსა. დიდი ხანი ეხვეწებოდა მეპურეს, მაგრამ ამას ყური არავინ ათხოვა.

უცებ ვიღამაც ყუათიანად თავში მუშტი დაჰკრა, პეტრუსას თვალები დაუბნელდა.

— შე უმგზავსო ძაღლო, მაჰმადიანები შიმშილით იხოცებიან და შენ ქრისტიანი მოეთრევი აქა?

ერთს მუშტის დაკვრას მოჰყვა მეორე, მესამე და ამ სახით გამოაგდეს ხალხითგან გულ შეწუხებული პეტ-

რუსა. უბედური პეტრუსა ეგდო ტალახში მოსვრილი, გონება დაკარგული. ამ დროს მოვიდა ერთი ყიზილბაში, რომელიცა იყო დიდი ხნის მცნობი პეტრუსასი, რომელსაცა ეძახოდნენ ლოთ ასანასა ⴃ იყო ავაზაკი; ბევრჯელ ეს შევიდოდა ხოლმე პეტრუსასთანა ⴃ სვამდა მაჭმადიანებისაგან აღკრძალულს ცხარე სასმელსა. ჭასანამ მიათრია როგორც იყო პეტრუსა ერთ ახლო დუქნამდინ ⴃ რომ გაიგო ამისი შესაწუხარი გარემოება, გამოართო ფული ⴃ მიიჭრა მეპურესთან.

ლოთი ასანასი ისპაანში ყველას ეშინოდათ, როგორც ავაზაკისაგან ⴃ რომ დაინახეს ხანჯალ ამოღებული, ყველანი ჩამოეცალნენ. როდესაც მივიდა, მრისხანებით დაუყვირა მეპურეს ⴃ მოსთხოვა პური; რომელიცა რა იყიდა სისწრაფით მოვიდა პეტრუსასთან.

პეტრუსამ უსეინას მადლობა რომ გადაუხადა მიეშურა თავის სახლისაკენ; როდესაც მიუახლოვდა იმ ქუჩას, სადაცა სახლი ჰქონდა, დაინახა ერთი დედაკაცი უჩადრო ⴃ თავ გაწეწილი მირბოდა ქუჩაში საითკენაცა. ისა ღრიალებდა, როგორც მშე ლომი, რომელიცა მწუხარეთ ღრიალებს შვილს რომ მოსტაცებენ; ის როგორც გიჟი აქა იქ იყურებოდა ⴃ თითქოს რაღაცას დაეძებდა.

ის დედაკაცი იყო პეტუსას ცოლი.

— ეს რა მომხდარა? რა ამბავია? ჰკითხა ცოლს პეტრუსამ, რომელსაც დაედევნა და მიეწია.

— ჩუენი ემაწვილი, ჩუენი ერთად ერთი შვილი ჰქვარაზ უცებ დამეკარგა შენი ჭირიმე, მიშველე, მლივს წამოილუღლუღა ცოლმა და გაიქცა უკან მიუხედავად გიჟივით ისევ იმ ქუჩაში.

პეტრუსა გამოუდგა უკან.

## II

იყო ბნელი და მოქურუთებული ღამე, სასაფლაოს მყუდროება ღრმად უფლებდა ქალაქზედ, ცაში არა სჩანდარა არცა თუ ერთი ვარსკვლავი; მხოლოდ მთვარის მქრქალი სხივი გამოანათებდა ბნელ ღრუბლებ შორის.

იყო ის დრო ღამისა, როდესაც ქოხების ფანჯრებში ბჟუტავდნენ სამთლები. მაგრამ ის ღამე მეტად ბნელი ღამე იყო, ბოლოს, ყველგან სამთლები გაქრნენ და მხოლოდ ქუჩებს ანათებდნენ ფარნები.

ერთის ვიწრო და ტალახიანის ქუჩის პირსა იდგა [illegible], რომელშიაც იდგნენ საეჭო ხალხნი. [illegible] ენთო დიდი ცეცხლი, რომელიცა ანათებდა ოთახსა და რომლის წინ ისხდნენ რამდენიმე

კაცები. იმათს განწირულს და თავ გადადებულს სახეს დააჩნდათ შიში და სიკვდილი.

— რა უბედური დღე იყო დღესა! სთქვა ერთმა, მრთელი დღე ისე დაილია, რომ ვერაფერი ვერ მოვიგდე ჴელში.

— გული შიმშილით მეწურება, უპასუხა მეორემ. რა მოხარული ვიქნებოდი. თეირანში ჯალათმა ჴელი რომ მოსჭრა, აქა მქონდეს, რა კარგს მწვადს წამოვაგებდი შამფურზედ და შევწვამდი ამ ცეცხლზედ.

— ნურჯანამ დაიგვიანა. უეჭველია ის ცარიელის ჴელით არ მოვა და მოგვიტანს რამეს; აგრე მალე არ უნდა დავღონდეთ.

ის დედაკაცი ისეთი ეშმაკი არის, რომ ჯოჯოხეთში შევიდეს, იქიდანაც კი არ გამოვა უშოვნელათ; ეშმაკის ფრთის ქვეშ კვერცხი რომ ნახოს, იმასაც კი მოჰპარავს.

— ეგ მალიან კარგი, მაგრამ მინამ ის ბებერი დედაკაცი მოვა ჩუჱნ შიმშილით სულს დავლევთ.

— როუშან! დაუყვ· რა ერთმა, მოსამსახურე გოგოს. მეორე ოთახის კარები რა გაიღო, გამოვიდა ერთი ახალგაზდა დედაკაცი საზიზღარის სახით.

— საჭმელი რომ არა გვაქვსრა? ჰკითხეს ერთობრ ყველამ.

— ერთი ჭელის მეტი აღარ არის, გუშინ ერთი ურიის ემაწვილი რომ დაკალით.

— შეტრიალდა ის დედაკაცი და მაშინვე გამოიტანა სისხლით შებასრული ემაწვილის ჭელი.

ერთი იმ ავაზაკთაგანი წამოვარდა და რა უნდა გამოეგლიჯა ჭელიდამ, დაუყვირა მეორემ, რა ამოიღო ხანჯალი.

— შედექი აჰკარ! თორემ შენ თითონ მწვადად წამოგაგებთ.

აჰკარს შეეშინდა და შედგა. რომელმაც დაუყვირა იმან წაართო ჭელი დედაკაცს, დასჭრა ნაჭრებად ხანჯლით, ააგო შანფურზედ და დადო ცეცხლზედ. ამ დროს უცებ შემოესმა მაღლის ყეფა ეზოთგანა.

— უთუოდ ჩუჱნი ნურჯანაა, სთქჳა ამ ავაზაკების წინამძღვარმა. როჰშან, გაუღე კარი!

რა კარი გაუღეს, შემოვიდა ბებერი დედაკაცი. ეს იყო გამხდარი და მაღალის შეხედულობისა, რომელსაც სახეზედ აჩნდა სიმხეცე. თვალებში უელამდა ჯოჯოხეთური ცეცხლი. აქ მსხდომთ ყველას გაეხარდათ იმისი მოსვლა და ერთად შესძახეს: ნურჯან, აბა რა მოგვიტანე?

— რა მოგვიტანეო? ჰმ! ისეთი ხბო მოგიტანეთ, რომ ჭამით ვერ გაძღებით. მიუგო დედაკაცმა ეშმაკური ღიმილით.

ყველანი შემოვარდნენ დ~ იმ დედაკაცს გარს შემო-
ეხვივნენ. იმან მოიხსნა ზურგითგან ტომარა, რომელ-
შიაცა პირი მოკრული ჰქონდა დ~ დააგდო პოლზედ,
ეს ხალხნი მისცვივნდნენ მშიერი მგლებივით, შეხსნეს
საჩქაროთ თოკი დ~ ამოიყვანეს იქიდან, მშვენიერი, ლა-
მაზი დ~ ქერა ყმაწვილი.

ამ კაცის მჭამლების სიხარულს ბოლო აღარა ჰქონდა.
ყველანი ყვიროდნენ პირუტყულად.

— ა რბილი ხორცი ექნება დ~! სთქვა ერთმა.

კარგი, კარგი, კმარა, შეჰყვირა ავაზაკების უფროს-
მა. აბა გვიამბე ნურ-ჯაანავ, სად იშოვნე ეს ძვირფასი
საშოვარი?

— სად ვიშოვნე, მრთელი დღე ვიტანტალე ქა-
ლაქის ვიწრო ქუჩებში, მაგრამ ვერა ფერი ვერა ვი-
შოვნერა. იმ წყეულმა ყმაწვილების დედებმა იციან დ~
არ უშვებენ ქუჩაში თავიანთ ყმაწვილებს, ბოლოს შე-
ვედი სომხების ქუჩაში, მითომ გლახა ვიყავი, შეველი
ერთს სახლში, დავიწყე ტირილი დ~ ვთხოვე პური. სახ-
ლის პატრონი დედაკაცი ფიცულობდა, ლუკმა პური არა
გვაქვს დ~ ეს მესამე დღე არის არა გვიჭამიარაო. აქამ-
დინ ძროხა გვყავდა იმის რძით ვიკვებებოდით დ~ ახლა
ისიც მოგვპარეს დ~ შიმშილში ვართო. ვთხოვე, ნება

მოეცა რამდენიმე მინუტს იქ დამესვენა. სახლის პატრონს შევებრალე, დამსო ეზოში და თითონ შევიდა შინა. ამ დროს გამოვიდა ოთახითგან ეს ყმაწვილი, რომელიცა მოვიტყუე ქიშმიშით. მერე უთხარი, გამოჰყევი სულიკოჯან ქუჩაში და უფრო ბევრს მოგცემ მეთქი. რა გამოველ ქუჩაში, ყმაწვილი თან გამამყვა. მაშინვე ვტაცე ჴელი, ჩავაგდე ტომარაში, პირი მოუკარ, წამოვიკიდე ზურგზედ და მოვარბევინებ რაც ღონე მაქვს აქა.

— კარგია, კარგი, ნურჯან, ლაპარაკის დრო არ არის ჯერა, ლამის შიმშილით მოვკვდე სთქვა ავაზაკების უფროსმა.
კების უფროსმა.

— მაშ დავიწყოთ რაღა. დაუმატა მეორემ.

მოსამსახურე გოგო, რომელშიაც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო კაცის სიბრალული, მივარდა და შეჰყვირა. არა, მე არ დაგანებებთ, რომ დაკლათ ეგ ყმაწვილი. გამოგლიჯა ყმაწვილი და ჩაიკრა გულში.

— დაიკარგე აქედგან, შეჰყვირა ერთმა ავაზაკმა, ჰკრა წიხლი ამ გოგოს, მოგლიჯა გულითგან ეს უმანკო ბავშვი, რომელიცა ტიროდა გულის საკვდავად და მაშინათვე გამოსჭრა ყელი.

ამ საშინელის და გულის გამგლეჯ ბოროტმოქმედების მსხვერპლად იყო, ავგაროზ, შვილი უბედურის უსტა პეტრუსასი.

კონსტანტინე ბერძენოვი-კობალაძე.

**1873** წელსა.

«ცისკარის» დაბარება შეიძლება ამ სახით: ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, **8** მანეთი.

რედაქცია იმყოფება იარმუკაში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

*Дозволено цензурою.*

**Въ Типографіи И. Кереселидзе, на Салдатскомъ базарѣ.**